საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 8 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი წინა გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩარჩოებითურთ ზომით 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ხელნაწერები უკან არ დაიბრუნება. რედაქცია და კანტორის მისამართი: კრუზენშტერნის ქ. 4, მიხაილოვის პროსპექტის ქუჩის მე-18-თან.

№ 30 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 30

ღრმა მწუხარებაში მყოფი მამა ქრისტეფორე და გამწუხარებული მეუღლე ლიუბმილა შონიას ასული თავბერიძისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 8 თებერვალს, დილის 12 საათზე ს. ზენობანში, ძვირფას სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი ერთად-ერთი ნუგეშის, ბოლშევიკებთან შეტაკების დროს ტრაგიკულად დაღუპულ

იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის

ხსოვნის პატივსაცემლად. (472 1—1)

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მიხაკო და ნატალია შონიები შვილებით — ალექსანდრე, ფილიპე, სიმონ, ასლან, ბესარიონ და სამუკით, რძლებით: ვარდო და ნატო შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 8 თებერვალს, დილის 12 საათზე სამი თვის თავზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათი ძვირფასი ხიძის, ბოლშევიკებთან ბრძოლაში მოკლულ

იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის

ხსოვნის პატივსაცემლად. (472 1—1)

ხიდისთავის (გურია) [illegible] ს. დ. კოლექტივი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ დღეს 8 თებერვალს, დილის 12 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 9 ნოემბერს ბოლშევიკებთან შეტაკების დროს ტრაგიკულად დაღუპულ ამხანაგის, კოლექტივის წევრის,

იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის

ხსოვნის პატივსაცემლად. (472 1—1)

ხიდისთავის (გურია) თემის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღეს, 8 თებერვალს, დილის 12 ს. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 9 ნოემბერს ბოლშევიკებთან შეტაკების დროს მოკლულ თემის თავმჯდომარის ამხანაგის

იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის

ხსოვნის პატივსაცემლად, მისი დაღუპვიდან სამი თვის თავზე. (472 1—1)

ხიდისთავის (გურია) თემის ხალხოსანთა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს მოქალაქეთ, რომ დღეს, 8 თებერვალს, დილის 12 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაღუპულ თემის უანგარო მოამაგის

იოსებ ქრისტეფორეს ძე თავბერიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, სამი თვის თავზე. (474 1—1)

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საბჭო აუწყებს თავის წევრთა და საზოგადოებას, რომ კვირას, თებერვლის 8 ს გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავად გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

მსახიობ ვალერიან შალიკაშვილისა

პანაშვიდი დაიწყება შუადღის 12 საათზე (ნ 1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დეკანოზი ლეონტი ალექსის ძე მცხვერაძე შვილებითურთ; ძმები: დავით და დიმიტრი გრიგოლის ძენი ჩიქოიძენი და ბიძა იოსებ ქიხოსროს ძე ჩიქოიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის დაუვიწყარი

ს ა შ ა ს (ალექსანდრას)

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. გორში, წმ. სამების ეკლესიის გალავანში, კვირას, 8 თებერვალს. (478—1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ქრისტინე, შვილები: თედო, ვალერიანე, ათანასე, გიორგი, ქეთო და ნინო, რძლები: ანასტასია, გულინა და მარიამ, სიძეები სერაპიონ გორგაძე და ივანე ფურცხვანიძე, შვილიშვილები: ელიკო, ვანო, აკაკი, გიგი, სოსიკო, ბუდუ, ვასო, მაშო, ცეცა, საშა, ქეთო, [illegible], გალინა და [illegible], აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, რომ 5 თებერვალს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

პავლე გიორგის ძე ჭანტურაია

დაკრძალვა ქ. ხონში, მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში კვირას, 8 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე. (ფ 1—1)

უღრმეს მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე მარო ვასილის ასული კვარაცხელიასი, დედა ბარბარე კვარაცხელია, ბიძაშვილები: კოსტა და კაპიტან კვარაცხელიები, სიმამრი ვასილი, ცოლის ძმები: თეოფილე და გერასიმე ნანიძეები, ვაუწყებთ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 10 თებერვალს (ძველი სტ. 28 იანვ.) გადახდება წლის წირვა და პანაშვიდი ჩვენთვის დაუვიწყარი

ივანე პავლის ძე კვარაცხელიას

სულის მოსახსენებლად. სადგურ ნატანებში, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში. (459—1—1)

მესანგრე ათასეულის 1 ლი მესანგრე გუნდი მთელი თავისი შემადგენლობით იუწყება, რომ გარდაცვალების წლის თავზე მათი ძვირფასი და დაუვიწყარი გუნდის უფროსისა და ამხანაგებისა: კაპიტან

გიორგი დავითის ძე მიქელაძისა

ჯარისკაცებისა:

გიორგი მარგველაშვილისა, ისაკ ზაზიკაშვილისა
ზაქარია ჩიტაძის

რომელნიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირულნი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე ახალციხის მიდამოს სოფ. საბუზართან. 9 ამა თებერვალს, დილის 11 საათზე, სამხედრო ტაძარში იქნება გადახდილი მათი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი. (476—1—1)

ათასეულის უფროსი, ოფიცრები და ჯარისკაცები მესანგრე ათასეულისა იუწყებიან, რომ გარდაცვალების წლის თავზე მათი ძვირფასის და დაუვიწყარი ამხანაგებისა; კაპიტან

გიორგი დავითის ძე მიქელაძის

ჯარისკაცების

გიორგი მარგველაშვილის, ისაკ ზაზიკაშვილის, ზაქარია ჩიტაძის, გრიგოლი გეგეჭკორის, გაბრიელ გეგეშიძის, გიორგი ტადუმაძის და ლეონტი არველაძის.

რომელნიც სამშობლოს კეთილდღეობისათვის თავგანწირულნი გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე ახალციხის მიდამოს სოფ. საბუზართან და ცირთან ამა თებერვლის 9 ს, დილის 11 საათზე სამხედრო ტაძარში იქნება გადახდილი მათი სულის მოსახსენებლად წირვა და პანაშვიდი. (476—1—1)

თფილისის შეშის საწყობების პატრონთა

კავშირის გამგეობა

სთხოვს მოქალაქეებს აცნობონ აღნიშნულ გამგეობას, რომელიც იმყოფება მადატოვის კუნძულზე, საწყობი „ივერია"-ს ამხანაგობისა, შეშის საწყობების მეპატრონეთაგან შეშის ნიხრის დარღვევისა, შეშის მიღებულ ზომაზე დაკლებულად დაწყობის შესახებ და ყოველგვარ სხვა გვარ უკანონო მოქმედებათა შესახებ. გამგეობის კანტორა ღია არის დილის 9 საათ. 2 საათამდე და 5 საათ.—7 საათამდე. გამგეობას გადაწყვეტილი აქვს ასეთ შემთხვევებში თვით მიიღოს სასტიკი დამსჯელი და გამასწორებელი ზომები.

(429—2—2) გამგეობა.

1920 წლის 20 თებერვლიდან **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა** აარსებს მოკლევადიან (ოთხთვიან)

საბუღალტერო კურსებს

სწავლა კურსებზედ იქნება მოწყობილი საღამოობით სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე (ერივნული ხიზჯის ქ., 11 კუთ. ფრეილინის ქუჩა).

სწავლება ქართულ ენაზე

კურსებზე ჩაწერა და ყოველგვარი ცნობების მიღება შეიძლება საქ. სავაჭრო-სამრეწველო პალატის საქმეთა განმგებლის მიხეილ თაქთაქიშვილისაგან ყოველ დღე პალატის ბინაზე, შუადღის 12 საათიდან—2 საათამდე (ერივნული ხიზჯის ქ. № 11; კუთხე ფრეილინის ქუჩა).

(464—3—1)

საქართველოს საკრედიტო დაწესებულებათა საბჭოსა და ვაჭარ-მრეწველთა თაოსნობით და ფინანსთა მინისტრის თანხმობით

ქალაქ თფილისში არსდება

საქართველოს ცენტრალური
სავაჭრო-სამრეწველო ბანკი
(ცენტრობანკი)

რომლის ძირითადი **თანხა არის 20,000,000 მან.** თითო აქცია ღირს 1000 მან. და საორგანიზაციო ხარჯის დასაფარავად შემოტანილი უნდა იქნეს 50 მან., ერთი ხმის უფლებას ანიჭებს 20 აქცია: ამ თავითვე შემოტანილი უნდა იქნეს აქციის ნახევარი ღირებულება—500 მან. და საორგანიზაციო ხარჯებისათვის სულ 50 მან., ესე იგი თითო აქციაზე 550 მანეთი.

საზოგადო ოფიციალური ხელის მოწერა აქციებზე და ფულის შემოტანა მთელ საქართველოში დანიშნულია: 17 (სამშაბათს), 18 (ოთხშაბათს), 19 (ხუთშაბათს) და 20 (პარასკევს) ამა თებერვალს.

თფილისში, სამეურნეო ბანკში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან პ. ა. გოთუასთან.

ინგლისის ფირმის „ქროსმენ-ლიმიტედ"-ის კანტორაში, საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, გრიგოლ გიორგის ძე ბერიძესთან (ბარონის ქ. № 15).

ცენტრო ბანკის ბინაზე (პუშკინის ქ. № 3) საორგანიზაციო კომიტეტის წევრთან, კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზთან.

ქუთაისში საურთიერთო ნდობის ბანკში, პავლე ეზნაძესთან და სათავადაზნაურო სამეურნეო ბანკში, ვარლამ პილაძესთან.

ბათუმში. საურთიერთო ნდობის ბანკში ნიკოლოზ საბაშვილთან და მათე რუხაძესთან.

ფოთში. საურთიერთო ნდობის ბანკში, პლატონ გელოვანთან და ჯოტო შერვაშიძესთან.

სიღნაღში საურთიერთო ნდობის ბანკში, კოტე [illegible].

ფოთში, თელავში, გორში, ხონში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, ზესტაფონში და ქიათურაში ადგილობრივ საურთიერთო ბანკებში; სიღნაღის კოოპერატივთა კავშირში, კახელ მევენახეთა კავშირთა-კავშირში და საქართველოს ყველა საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებში (ამ დაწესებულებათა გამგეობებში).

აქციონერთა პირველი საზოგადო კრება დანიშნულია კვირას 29 ამა თებერვალს, თფილისში ცენტრო-ბანკის ბინაზე.

ცენტრო-ბანკის მთავარი საორგანიზაციო კომიტეტი,
თფილისი, პუშკინის ქ. № 3. (თავისუფლების მოედანს პირდაპირ).
ტელეფონი № 3—46.
დეპეშისათვის—თფილისი—ცენტრო-ბანკი.

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელი განყოფილების ინიციატივით, კვირას 8 თებერვალს. დილის 10 ს. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლის დარბაზში

ე. პ. გეგეჭკორი

გვარდიელთათვის წაიკითხავს მოხსენებას თანამედროვე საქართველოს ვითარებაზე. (2—2)

15 თებერვალს, 1920 წ. ქ. თფილისში საქართველოს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე დილის სრულ 10 საათზე იხსნება

საქართველოს მეთამბაქოეთა ყრილობა

დასწრება შეუძლია ყველა მეთამბაქოეს, აგრონომებს და მოღვაწეთ, ვისაც დამოკიდებულება აქვს მეთამბაქოეობასთან. ერობები, კოოპერატივები და საკრედიტო დაწესებულებანი გზავნიან თავიანთ წარმომადგენელს.

ვითხოვთ ყველას პროვინციიდან წარმოადგინონ მოხსენებები ადგილებიდან. ჩაწერა და ცნობების მიღება შეიძლება ქვემო მოყვანილ მისამართით დილის 10 საათიდან 2 საათამდის. თფილისი, გრაფის ქ. № 2 ტელ. 6—43.

(438—6—3) საორგანიზაციო კომიტეტი.

15 ენკენისთვეს 1919 წელს ქალ. ქუთაისიდან სავაჭრო საქმეებისათვის ფოთში გაემგზავრა

კარპე ფირანის ძე შენგელია

იქიდან მას აზრათ ჰქონდა ტუაფსეში წასვლა.

რადგან აქამდის მისგან არავითარი ცნობა არა მაქვს, უმორჩილესად ვსთხოვ ყველას, ვისაც ის ყავს სადმე ნახული, ან რაიმე ცნობები აქვს მასზედ შემატყობინოს, რისთვისაც მიეცემა ჯილდოთ სამი ათასი მანეთი. მისამართი: ქ. ქუთაისი, მოსე ფირანის ძე შენგელია, [illegible] ქუჩა. (465—3—1)

ქალის ექიმი აგრაფინა დავითის ასული

ა მ ა ზ ა ძ ე

განაახლა კერძო პრაქტიკა. იღებს ავადმყოფებს დილ. 10—1 ს. და 4—6 ს. სოლ. ელისაბედის ქუჩა № 49 (კუთხე [illegible], რუსთ. და ბელგიელების ქუჩ). (467 6—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რუსთაველის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ი.)

საბჭოთა რუსეთის პოზიცია საქართველოს მიმართ

გუშინდელ წერილში ჩვენ განვიხილეთ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარის ჩიჩერინის ნოტის ერთი ნაწილი, მისი, ასე ვთქვათ, პრინციპიალური მხარე. ამ მხრივ შევეხეთ ჩვენ არა იმ მიზნით, რომ თავი გვემართლა და ჩვენი სიმართლე დაგვემტკიცა ვისთვისმე, მით უმეტეს საბჭოთა რუსეთის „ნარკომინდელისათვის". ჩვენი მიზანი სულ სხვა იყო: ჩვენ გვინდოდა ყველასათვის აშკარა გაგვეხადა ის ფაქტი, რომ ბოლშევიკებს არ სურთ ჩასწვდენ ჩვენი პოლიტიკის დედა-აზრს, არ სურთ ჩაიხედონ ჩვენი ცხოვრების პირობებში, ჩვენი საქმეების ვითარებაში, შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში და ისე ასწონ-დასწონონ ჩვენი პოლიტიკური ნაბიჯები. ასე მოიქცეოდნენ ბოლშევიკები, მათ რომ მართლაც მიზნათ ჰქონოდათ ჩვენთან შეთანხმება და მშვიდობიანი ურთი-ერთობის დამყარება. სამწუხაროდ, ის ბრალდებები, რომლებიც მათ ჩვენ წინააღმდეგ წამოაყენეს, ყოველს ეჭვს გარეშე ხდის, რომ ბოლშევიკების პოლიტიკურ გეგმაში არ შედის ჩვენთან შეთანხმება და კეთილი განწყობილება: ის ბრალდებები, რომლებსაც მათი გარეშე საქმეთა „ნარკომი" აყენებს ჩვენ წინააღმდეგ, მხოლოდ ჩვენდამი მტრობამ შეიძლება უკარნახოს მის ავტორებს და არა მორიგების განზრახვამ.

საბჭოთა რუსეთის ასეთი მტრული განწყობილება უდავო და აშკარად აიხსნება ხდება, როდესაც ყურადღებით ჩავუკვირდებით ჩიჩერინის ნოტის ზოგიერთ ადგილებს, საიდანაც გამოსჭვივის საბჭოთა რუსეთის მთელი პოლიტიკური პროგრამა ჩვენ მიმართ. ნოტიდან ცხადი ხდება, რომ ბოლშევიკური რუსეთი არ დაეთანხმება იმ მინიმალურ პირობებზე, ურომლისოდაც საქართველოს ვერ წარმოუდგენია კეთილმეზობლობის ხანგრძლივობა.

საბჭოთა რუსეთს არ სურს სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა;

მას არ სურს იცნოს ჩვენი სახელმწიფოს ხელშეუხებლობა და არ სურს ხელი აიღოს ჩვენ შინაურ საქმეებში ძალდატანებითი ჩარევაზე;

იგი აგრესიულ მიზნებით, მტაცებლური განზრახვებით მოდის ჩვენთან.

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ საბჭოთა რუსეთი არ სცნობს ერის თვითგამორკვევის უფლებას.

ნოტაში ორჯელ არის ნახმარი სიტყვა „თვითგამორკვევა" და ორჯელვე ერთი და იგივე აზრია შიგ ჩადებული. „საბჭოთა რუსეთი შეურყევლად იცავს ყველა ერთა მშრომელთა მასსის ნაციონალურ თვითგამორკვევის პრინციპს", ვკითხულობთ ნოტის დასაწყისში.

„საბჭოთა მთავრობამ... საქმით დაამტკიცა, რომ იგი შეურყევლად დგას ყველა ერთა მშრომელ ხალხის ნაციონალურ თვითგამორკვევის ნიადაგზე", ვკითხულობთ ნოტის ბოლოში.

ჩავუკვირდეთ ყურადღებით ამ ფორმულას და დავრწმუნდებით, რომ ბოლშევიკებს არ სწამთ ის, რასაც ყველა გულისხმობს, როდესაც „ერის თვითგამორკვევის" პრინციპზე ლაპარაკობს. მათ სწამთ მხოლოდ „მშრომელთა მასსის თვითგამორკვევა", და არა „ერის თვითგამორკვევა". ამ ფორმულის ფრჩხილები რომ გავხსნათ მივიღებთ ბოლშევიკების პოლიტიკის ძირითად დებულებას და ჩვენი პოლიტიკის სრულს უარყოფას.

ვინ არ იცის, რა აზრს სდებენ ბოლშევიკები სიტყვებში „მშრომელთა მასსა" ეს გახლავთ ისევ ის „მუშა ხალხის და ღარიბ გლეხობის საბჭოები", რომლებსაც რუსეთში ბოლშევიკებმა სახელმწიფო ძალა-უფლება ჩაუგდეს ხელში; ეს ისევ ის „საბჭოთა დიქტატურაა" რომელიც რუსეთის, კავკასიის და კერძოთ საქართველოს პირობებში უარყოფაა დემოკრატიზმისა. „მშრომელ ხალხის თვითგამორკვევიდან" დღევანდელ სოციალურ პირობებში ლოღიკურად გამომდინარეობს უმცირესობის დიქტატურა, მაშინ, როდესაც „ერის თვითგამორკვევა" გულისხმობს ერის უმრავლესობის, დემოკრატიის ნებისყოფის გამტკიცებას. ბოლშევიკებს, აშკარაა, არ სწამთ ერის თვითგამორკვევის პრინციპი.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ საქართველოს მთელი ერის სურვილი—რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო იქონიოს—საბჭოთა რუსეთისათვის არ იქნება სავალდებულო. თუმცა საბჭოთა რუსეთის მეთაურთ კარგათ იციან, რომ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამყარებას სათავეში სწორედ მუშათა კლასი და გლეხობა უდგია, მაგრამ, რაკი მათ არ სურთ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა, იმას იმიზეზებენ, რომ საქართველოში „მშრომელ მასსის თვითგამორკვევა" ფორმულ-

დღეს

ბოლშევიკების ცნობით ლოიდ ჯორჯი წინააღმდეგი არ არის რუსეთ პოლონეთის ზავისა.

ინგლისის პრესას იმედი აქვს, რომ ეგვიპტის მოლაპარაკეებს დააკმაყოფილებს ფართო თვითმართველობა.

ერთა ლიგის საბჭო ლონდონში შეიკრიბება 11 თებერვალს განიხილავს საარის ოლქის და დანციგის საკითხებს

მოკავშირეთა უმაღლესი კომისრები უნგრეთში მივიდნენ. მოლაპარაკება ავსტრიასა და უნგრეთს შორის კარგათ მიმდინარეობს.

სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მეორე ყრილობა 5 აპრილისთვის გადაიდო.

რადგ არ მომხდარა. ეს მომიზეზება, ეჭვი არ არის, აიხსნება მხოლოდ აგრესიულ განზრახვებით, რომლითაც საბჭოთა რუსეთი მიდის ჩვენთან. ჩვენი პრინციპიალური პოზიცია გულისხმობს ჩვენ შინაურ საქმეებში ჩაურევლას, ძალდატანებით „საბჭოთა სახელმწიფოს" შემოღების ნაცვლად იმ დემოკრატიულ რესპუბლიკისა, რომელიც სასურველად მიაჩნია ჩვენი ხალხის დიდს უმრავლესობას, მთელს ჩვენს ხალხს.

რომ სწორეთ ასეთია აზრი იმ ფორმულის, რომელსაც ჩიჩერინის ნოტა შეიცავს, კიდევ უფრო აშკარა გახდება, თუ შევადარებთ საბჭოთა რუსეთის პოზიციას, ერთის მხრით, ჩვენ მიმართ, მეორეს მხრით, ესტონელთა რესპუბლიკის მიმართ. იმ საზავო ხელშეკრულობაში, რომელიც საბჭოთა რუსეთმა დასდო ესტონეთთან, პირდაპირ ნათქვამია, რომ „რუსეთი უდავოთ სცნობს ესტონელთა სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას".

ბოლშევიკებს შეშინებიათ სხვა სახელმწიფოებმაც არ მოსთხოვონ ისეთივე საზავო პირობები, როგორიც ესტონეთთან დადეს, და ხელშეკრულებაში ჩაურთავთ სტრიქონები, რომელსაც, ეჭვი არ არის, სახეში ჰყავს საქართველო და სხვა ახლად დაარსებული სახელმწიფოები:

„რუსეთი აღიარებს, რომ ის უფლებები, უპირატესობანი და ლგოტები, რომლებსაც იგი ხელშეკრულობის ძალით აძლევს ესტონეთს, არავითარ შემთხვევაში და არავითარ პირობებში არ გადაიქცევა პრეცედენტათ ყოფილ რუსეთის იმპერიის საზღვრებში დაარსებულ სხვა სახელმწიფოებთა ზავის შეკვრის დროს".

ესტონეთისაგან საბჭოთა რუსეთი, როგორც ვხედავთ, არავითარ „მშრომელთა თვითგამორკვევას," „საბჭოთა სახელმწიფოს" დამყარებას არ მოითხოვს. „როგორც გიპირდეს, ისე გიღირდესო", ნათქვამია. ესტონელებთან ზავი აუცილებლად საჭირო იყო ბოლშევიკებისათვის, ამიტომ მათ მიმართ არც ისე საჭირო ყოფილა „მტკიცე პრინციპები." საქართველოს მიმართ ალბათ, ასეთივე სამშვიდობო პოლიტიკა არ ყოფილა საჭირო და მასთან ლაპარაკში შეიძლება გამოიჩინო „შეურყეველი პრინციპიალობა."

საზოგადოთ, ბოლშევიკები საქართველოს მუდამ უყურებდნენ და დღესაც უყურებენ, როგორც თავიანთ ექსპერიმენტების ასპარეზს. მის მიმართ ბოლშევიკები თავის დღეში არავითარ პრინციპიალურ მოსაზრებებს არ დაგიდევენ. ისინი ერთხელაც არ ჩაფიქრებულან იმაზე, რომ საქართველოს მცხოვრებთ თავისი საკუთარი სასიცოცხლო ინტერესები აქვთ და რომ არავითარი სამართლიანობა არ იქნება ეს ინტერესები მსხვერპლად შესწირონ სხვა, თუნდაც დიდი ერის ინტერესებს, სხვა, თუნდაც „კომუნისტურ" პოლიტიკას. ჩვენ გვისაყვედურებენ იმას, რომ ოსმალთა მბრძოლების შემოსევის დროს ქვეყნის აოხრებისაგან გადასარჩენად გერმანიის სახელმწიფოს მივმართეთ, და იმას კი აღარ იხსენიებენ, რომ ამავე ოსმალთა შემოსევის დროს ბოლშევიკები ზურგიდან თავს დაგვესხნენ და სახიკვდილოთ გაგვიმეტეს. გვისაყვედურებენ იმას, რომ ჩვენ დღესაც გვაქვს კეთილი განწყობილება ევროპის სახელმწიფოებთან, იმაზე კი არაფერს ამბობენ, რომ თითონ დღეს ოსმალეთის რეაქციონურ პარტიებთან ჰკრავენ კავშირს და მათთან შეთანხმებით მოქმედებენ. საქართველოს მცხოვრებთა აზრით აგრეთვე აიხსნება ისიც, რომ ბოლშევიკები ვერ შერიგებიან იმ აზრს, რომ საქართველოს არ სურს ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში, მის სამოქალაქო ომში, რომ მას უფლება აქვს თავისი მცირე ძალები შეინახოს თავის კეთილ-დღეობისათვის, თავის კულტურისათვის, თავის დემოკრატიისათვის და არ ანაცვალოს სხვა ერის საქმეებს. საკუთარი ძალების აწონ-დაწონას და გათვალისწინებას და სხვის დიდ საქმეებში არ ჩარევას ჩიჩერინი „ხელის დაბანის პოლიტიკას" უწოდებს. ასე შეიძლება უწოდოს საქმეს მხოლოდ ის, ვისაც საქართველოს აბუჩად აგდება მოუნდომებია და მის ხალხის ინტერესები ხელწამოსაკრავად მიაჩნია.

ჩვენ მზათ ვართ საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკება განვაგრძოთ, გვსურს მასთან კეთილგანწყობილება ჩამოვაგდოთ, მაგრამ, სამწუხაროთ, არა გვგონია ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელი გახდეს, სანამ ისინი პრინციპიალურად არ შეიცვლიან თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, თუნდაც ისეთ, როგორც მათ შეიცვალეს თავისი პოლიტიკა ესტონეთის მიმართ.

ბათუმის საქალაქო არჩევნებში

29 ამ თვეს ბათუმში მოხდება ქალაქის საბჭოს არჩევნები. წესი არჩევნებისა უკვე იყო ჩვენს გაზეთში გამოცხადებული. ეს წესები იმდენათ არა დემოკრატიულია, რომ ის, რასაკვირველია, მიუღებელია ჩვენი დემოკრატიისათვის. მიუხედავათ ამისა, ადგილობრივი პარტიები არჩევნებისათვის სამზადისს უკვე შესდგომიან. არც შეიძლებოდა სხვაფრივ. ქალაქის გამგეობას და მის შემადგენლობას იმდენათ დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის ცხოვრებას მოწესრიგებაში, რომ მისი გვერდის ავლა უდიდესი შეცდომა იქნებოდა. ამდენი ხანი ბათუმის ქალაქის თვითმართველობა დენიკინის და მისი აგენტების სათარეშოთ იყო გამხდარი და ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესი ფეხ ქვეშ ითელებოდა. ამიტომ ეს არჩევნები მეტათ მნიშვნელოვანი ფაქტია ბათუმის ცხოვრებაში.

წესი არჩევნებისა და ის პირობები, რომელიც გამეფებულია დღეს ბათუმში, საშუალებას არ აძლევს დემოკრატიას ფართე მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ამიტომ ასეთ პირობებზე დემოკრატიის გამარჯვებაზე ლაპარაკი მეტია: დემოკრატია მაშინ შესძლებს თავის ძალების გაზომვას, ქალაქის პასუხისმგებელ პირებზე ჩაბარებას, როცა ქალაქი დაუბრუნდება თავის სამშობლო კერას, როცა არჩევნები მოხდება იმ ფართოდ დემოკრატიული წესით, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქებისათვის არსებობს. მანამდე ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესი, როგორც არჩევნებში, ისე ყველა სხვა სფეროში მუდამ [illegible] მეურვეობაშია და ამ მეურვეობას რაც შეიძლება ადრე უნდა მოეღოს ბოლო.

მაგრამ, სანამ ეს არ მომხდარა, მიუხედავათ იმისა, რომ დემოკრატიის გამარჯვების შანსები მეტად მცირეა,—არჩევნებში მაინც უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივმა ამომრჩევლებმა, რომ შეასუსტონ მაინც გავლენა და ბატონობა იმ ჯგუფებისა, რომლებიც დღემდე ბატონობდნენ და რომელთა მოქმედება ერთიანად მიმართული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესების წინააღმდეგ.

ბოიკოტი არჩევნებისადმი, ანდა სხვათა შორის არჩევნებში მონაწილეობის მიღება უდიდესი დანაშაულობა იქნებოდა.

რა უყოთ რომ, როგორც საარჩევნო წესი, ისე დღევანდელი ბათუმის მდგომარეობა არ უზრუნველყოფს დემოკრატიის ინტერესებს არჩევნებში მონაწილეობა არ განიზომება მარტო მისი პირდაპირი შედეგით—ხმოსნების არჩევით. არჩევნებს სხვა მხრივაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ მასში მხურვალე მონაწილეობა სავალდებულოა ყველა შეგნებული მოქალაქისათვის.

შეიძლება დღეს დამარცხდეს დემოკრატია, მაგრამ ეს არ იქნება ის დამარცხება, რომელიც გადასწყვეტს ბათუმის ბედს. დღეს თუ არა ხვალ, ბათუმი უნდა დაუბრუნდეს საქართველოს. ეს კითხვა გადადებას არ ითმენს. ლოდინი და ცდა მეტი აღარ შეიძლება. და აი როცა ბათუმი რესპუბლიკის საერთო ფარგლებში ჩადგება, დემოკრატიის გამარჯვების დღეც მაშინ დადგება. ამ დღის დაახლოვებისათვის ზრუნვა მოვალეობაა ყველა ნამდვილი რესპუბლიკანელის. ამ დღის მოლოდინში ადგილობრივმა ამომრჩევლებმა მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღონ 29 თებერვლის არჩევნებში და ასე თავის მოწინააღმდეგე ძალა შეასუსტონ.

ყველა ამომრჩეველი მზათ უნდა იყოს ამ დღისათვის და ასე თავის მოქალაქობრივი მოვალეობა პირნათლათ შეასრულოს.

განი.

საქართველო და საბჭოთა რუსეთი

ე. გეგეჭკორის საპასუხო ნოტა.

თფილისი, თებერვლის 7. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა 7 თებერვალს მოსკოვში საგარეო საქმეთა კომისარ ჩიჩერინს შემდეგი ნოტა გაუგზავნა:

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა თქვენ მიერ ა. წ. 31 იანვარს, № 185, გამოგზავნილ რადიო დეპეშის საპასუხოთ გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნულ რადიო დეპეშის შინაარსით და ხასიათით საქართველოს მთავრობას სრული საბუთი აძლევს იფიქროს, რომ საბჭოთა მთავრობა ცდილობს საქართველოს რესპუბლიკის პრესტიჟი დასცეს ყალბ ცნობებზე მითითებით, რომლითაც სარგებლობასაც მე სრულებით მიუღებლათ ვსთვლი.

სახალხო კომისართა საბჭომ, ალბათ კარგათ იცის, რომ ერთი წლის წინეთ საქართველოს მთავრობამ რესპუბლიკის საზღვრები გაუხსნა წითელ არმიელთა მრავალ-რიცხოვან რაზმებს, რომელნიც მოხალისეთა ჯარისაგან თავს იფარავდნენ. მიუხედავათ მწვავე სასურსათო კრიზისისა, რომელსაც რესპუბლიკა განიცდიდა, მიუხედავათ ქვეყნის შინაური და გარეშე მდგომარეობათა გართულებისა და ბოლოს, მიუხედავათ იმისა, რომ ამასთანავე ჩრდილო-კავკასიის ბოლშევიკები აშკარა მტრულად და აგრესიულად იყვნენ საქართველოსადმი განწყობილნი,—საქართველოს მთავრობამ ხუთი ათას წითელ არმიელს თავშესაფარი მისცა და ამით შეასრულა ნეიტრალური სახელმწიფოს ვალი. საქართველოს მთავრობა მეტად განცვიფრებულია იმ ბრალდებით, თითქოს საქართველო მთელი თავისი ძალებით ხელს უწყობდა გერმანულ იმპერიალიზმს და თითქოს მეგობრულ განწყობილებაში ყოფილიყოს ოსმალეთის აგრესიულ იმპერიალიზმთან.

როგორი უნდა იყოს ამ ბრალდების ზნეობრივი პოლიტიკური ღირებულება საერთო ცნობილ ფაქტთან, რომ საბჭოთა მთავრობამ სწორეთ იმ დროს, როდესაც დაშლილმა ბოლშევიკურმა ჯარებმა მტრის ძალთა წინაშე ფრონტი დასტოვეს, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით, გერმანიის იმპერიალიზმის მონობაში ჩააგდო მთელი რუსეთი, ოსმალეთს ამიერ-კავკასიის კარი გაუღო, მისცა მას ამ ქვეყნის ციხე-სიმაგრეები: ბათომი, ყარსი და არდაგანი და ამით უთანასწორო ბრძოლაში სისხლით დაცლილ კავკასიის ხალხთ ზურგში მახვილი ჩასცა. საქართ. მთავრობას შეუძლიან განაცხადოს თავისი ყოველი სიტყვის პასუხისმგებლობის შეგნებით, რომ მაშინაც მისი ხალხის დაღუპვის შიშის დროს მან გარეშე ძალთან დამოკიდებულობის დროს არ დაივიწყა დემოკრატიზმისა და თავისუფლების პრინციპების სრული დაცვა. საქართველოს მთავრობა ენერგიულად უარყოფს სახალხო კომისართა საბჭოს საგარეო საქმეთა რადიოგრამის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ეხლა საქართველოს მოკავშირეებთან მოლაპარაკებას მიზნათ ჰქონდეს საბჭოთა რუსეთისადმი აგრესიული პოლიტიკის წარმოება. საქართველოს ხელს უწყობს და შეუწყობს კავშირისა და ურთი-ერთ დამოკიდებულებას ყველა გარეშე ძალებთან საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა, მისი თავისუფლების პატივისცემისა და რესპუბლიკის საზღვრების ხელშეუხებლობის ნიადაგზე და ის გადადგამს ამა თუ იმ ნაბიჯებს ქართველი ხალხის ინტერესების დასაცავათ ყველა მისადმი მტრულად განწყობილ ძალების წინააღმდეგ. სანამდის საბჭოთა მთავრობა იმას ცდილობდა, რომ საქართველოს რესპუბლიკამ ამ გზიდან გადუხვიოს და თავისი შინაური და გარეშე პოლიტიკის სისხლიან ორომტრიალში ჩაითრიოს, სანამ მისი მიზნები საქართველოსადმი ისეთი რჩება, როგორც ეს წარმოდგენილია სახალხო კომ. საბჭოს საგარეო საქმეთა კომისრის რადიოგრამაში, მანამდის საქართველოს მთავრობას უფლება აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა მთავრობა ორ მოძმე ხალხთა შორის კეთილ მეზობლურ განწყობილების დამყარებას ხელოვნურათ აბრკოლებს.

„ჩემი მთავრობის რწმუნებით ვაცხადებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მხრივ ამ დამოკიდებულებათა დასამყარებლად არავითარი დაბრკოლება არ არსებობს და იმედს გამოსთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობა, თავის მომავალ პოლიტიკაში მოისმენს ქართველი ხალხისათვის მისაღებ ენას.

საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი.

დღეს
კაფე „ფრასკატი."
(გოლოვინის პროსპექტი)
შრომის ლატარეა
1—1

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

7 თებერვალი

ინგლისური პრესის ცნობები

ფონ-ლერსნერის მიერ უარის თქმის გამო დამნაშავეთა სიის ჩაბარებაზე, სხვა დეპეშით გადასცეს ლონდონს. ფონ-ლერსნერის მიერ განცხადებული უარი გერმანიის მთავრობას დანაშაულათ არ ჩაეთვლება.

ეგვიპტეში გაგზავნილი მილნერის კომისია ინგლისში დაბრუნებისას კარგათ გაეცნო საქმის ვითარებას. კომისიის აზრით ეგვიპტეს ფართო თვითმართველობა უნდა მიენიჭოს. როდესაც ეგვიპტის პოლიტიკოსები ასეთ კონკრეტულ და ლიბერალურ წინადადებას მიიღებენ, ისინი ალბათ, მას სიამოვნებით შეეგებებიან.

ფრანგული პრესის ცნობები.

მოკავშირეთა პასუხის რედაქცია ჰოლანდიის მიერ კაიზერის გაცემის უარის თქმის შესახებ, დასრულებულად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ლონდონიდან იუწყებიან, რომ ამ პასუხს ჰააგის მთავრობის წარმომადგენლებს არ გაუგზავნიან, სანამ მოკავშირეთა პრემიერ-მინისტრები ისევ არ შეიკრიბებიან. მათი სხდომა უნდა შესდგეს ათი დღის შემდეგ დიდი ბრიტანეთის სატახტო ქალაქში.

ერთა ლიგის საბჭო ლონდონში შეიკრიბება. საბჭოს მეორე სხდომა გაიხსნება 11 თებერვალს ლეონ ბურჟუას თავმჯდომარეობით და სამს დღეს გაგრძელდება. გახსნილ სხდომებზე აირჩევენ ბიუროს, რომლის მეთაურად ბალფური იქნება. განიხილავენ უდიდესმნიშვნელოვან საკითხებს, კერძოთ საარის ოლქისა და დანციგის საკითხებს.

მოკავშირეთა უმაღლესი კომისრები უნგრეთში მივიდნენ. ელჩების კონფე-

კომუნისტების საქმიანობა*)

კარლ კაუცკისა

განრყვნილება მმართველობაში.

და რა გვარი ელემენტები განდგნენ, რომ ახალ რეჟიმს არ ეტმასნებოდნენ!

„არც ერთი საგრძნობი და ძლიერი ხალხთა მოძრაობა არ ახსოვს ისტორიას, რომ გამოუცდელი, ახალი მოძრაობის მქადაგებლათ არ აკვიატებოდენ ავანტიურისტები და ვიგინდარები, ყბედი და მყვირალა ხალხი. ყოველ ასეთ მოძრაობას თან სდევს აჩქარება, უტვინობა და მოჩვენებითი საქმიანობა,—ზოგიერთ „ბელადთა" მიერ მრავალი საქმის დაწყება და არც ერთის ბოლომდე მიყვანა". (ლენინი—„უახლოესი მიზნები საბჭოთა მთავრობისა" გვ. 40).

უდავოა, რომ ყოველივე დიდ სახალხო მოძრაობას თან სდევს მავნე ელემენტები. ამას ჩვენ ვამჩნევთ გერმანიაშიაც, მაგრამ საბჭოთა რეჟიმს ამასთან ერთად ისეთი თავისებურობა აქვს, რომ განსხვავდება სხვა დიდ სახალხო მოძრაობათაგან. პირველ ყოვლისა „ნოვატორები" არსად ისე გამოუცდელნი არ არიან, როგორც რუსეთში. ეს ასეც უნდა იყოს. აბსოლიუტიზმის დროს მოწინავე ელემენტებს არ ჰქონდათ საშუალება გასცნობოდნენ სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ თვითმართველობათა საქმეებს, ისინი მოკლებული იყვნენ საშუალებას მიეღოთ მონაწილეობა ყოველგვარ დიდ ორგანიზაციებში, ვინაიდან ადმინისტრატიულ მოღვაწეობის სფეროდან მოწინავე ელემენტები განდევნილი იყვნენ. რევოლიუციონერების ინტერესს შეადგენდა, ნამეტნავად იმ რევოლიუციონერების, რომლებსაც სწამდათ ბრძოლაში ძალდატანებითი მეთოდები,—პოლიციასთან ბრძოლა, სარდაფებში მუშაობა და შეთქმულობის მოწყობა. როდესაც რევოლიუციონერებმა ძალა-უფლება ჩაიგდეს ხელში, მათ დაამტკიცეს თავიანთი გამოუცდელობა—ამაში ბრალი არც მიუძღოდათ. მაგრამ სწორედ ეს გამოუცდელობა ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს იმას, რომ რუსეთი რევოლიუციის აფეთქების დროს არ იყო მომწიფებული სოციალიზმისათვის, რაც უფრო ძნელად განხორციელდებოდა შეგნებულ და დისციპლინირ მასსას მიერ, როდესაც მას სათავეში მასსას გზის მაჩვენებლათ გამოუცდელი „ნოვატორები", ეყოლებოდა. ყოველივე ეს ცხად ყოფს იმ აზრს, რომ მასსის და მათი ბელადების აღზრდა შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიული წყობილების დროს, რომელიც წინასწარი საშუალებაა სოციალიზმისათვის.

შეუძლებელია ერთი ნახტომით გადასკუპება აბსოლიუტიზმის სამეფოდან სოციალიზმის სამეფოში!

გარდა ამისა, საბჭოთა რეჟიმი განსხვავდება სხვა სახალხო მოძრაობისაგან მით, რომ საბჭოთა რეჟიმმა მოსპო საშუალება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა „ავანტიურისტების", „ვიგინდარების", „ყბედების" და „მყვირალა" ხალხის „მოღვაწეობის" გამოაშკარავება გ. ი., მან მოსპო პრესის თავისუფლება.

ზემოხსენებული ელემენტები გაურბოდნენ მცოდნე ხალხთა კრიტიკას. მათ საქმე ჰქონდათ მხოლოდ შეუგნებელ მუშებთან, ჯარისკაცებთან და გამოუცდელ ამხანაგებთან. ამ ხალხთან ისინი თავს კარგად გრძნობდნენ. მართალია, ბოლშევიკების ლიდერებმა დაიწყეს შესწავლა იმისი, თუ როგორ გაარჩიონ ლვარძლი ხორბალისაგან, ნამდვილი და უანგარო ორგანიზატორები გაიძვერებისა და ვიგინდარებისაგან. რუსეთის მუშათა მასის ჩამორჩენამ გამოიწვია ის, რომ კრიზისი წარმოებაში უფრო ადრე დადგა, ვიდრე მოასწრობდნენ კარგისაგან ცუდის გარჩევის „შესწავლას". წარმოების მოსპობის წინაშე დადგა საბჭოთა რუსეთი! და ხელმძღვანელთა დიქტატურით მოინდომეს საშიშროების თავიდან აცდენა.

ბოლშევიკები იძულებული ხდებიან დიქტატორული ძალა-უფლებით აღჭურვონ წარმოების ხელმძღვანელნი და ამავე დროს არ შეუძლიათ მიუთითონ ამ ხელმძღვანელებს იმ საშუალებებზე, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა კრიზისის თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში დიქტატურა მეტად საეჭვო ხდება, მას შეუძლია მხოლოდ საქმე გააფუჭოს. როგორც მოგეხსენებათ, ჯერ ახდენდნენ ექსპროპრიაციას და შემდეგ მის ორგანიზაციის მოწყობას სცდილობდნენ. ახლაც ასეა, ჯერ ნიშნავენ დიქტატორებს და მხოლოდ ამის შემდეგ ცდილობენ გამოსძებნონ ის მეტოდები, რომლითაც უნდა აიცილონ თავიდან მოსალოდნელი ბოროტება, ამგვარი მახინჯი მუშაობა აუცილებელი იყო, რადგანაც გადასწყვიტეს რა სოციალიზმის დამყარება და ემყარებოდნენ მხოლოდ სურვილებზე და არა ცხოვრების პირობებზე.

გარდა ამისა, საბჭოთა რეჟიმისათვის საფრთხეს მარტო ის კი არ წარმოადგენს, რომ თითონ საბჭოთა დაწესებულებები „ავანტიურისტებით" და „ვიგინდარებით" არის გავსილი, რომელთა მოქმედების კრიტიკა შეუძლებელი გახდეს. არა ნაკლებ საფრთხეს წარმოადგენს საბჭოთა რეჟიმისათვის ის, რომ საბჭოთა მთავრობა თავიდან მოიცილა, სულიერათ ყველაზე მაღლა მდგომი, სინდისიერი ელემენტები ინტელიგენციის წრიდან. ინტელიგენციის დაუხმარებლათ სოციალიზმის განხორციელება იმ დროს, როდესაც წარმოება არ დგას სათანადო დონეზე, შეუძლებელია. ვიდრე სოციალიზმი პროპაგანდის სტადიაში იმყოფებოდა, როცა მთელი მუშაობა მდგომარეობდა იმაში, რომ პროლეტარიატს შეეგნო თავისი მდგომარეობა საზოგადოებაში და გაეთვალისწინებინა ისტორიული დანიშნულება თავისი, სოციალიზმს ესაჭიროებოდა ინტელიგენტები,—იქნებოდნენ ისინი აკადემიკები ბურჟუაზიის წრიდან გამოსულნი, თუ „სამოუჩკა" (თვითგანვითარებული) მუშები. ყველა ესენი საჭირონი იყვნენ სოციალიზმის თეორიის პოპულარიზაციისა და გავრცელებისათვის. აქ საჭირო იყო არა ხალხის რიცხვი, არამედ—ხარისხი.

სულ სხვა გზაა, როდესაც ჩვენ ვიმყოფებით სოციალიზმის განხორციელების ხანაში. ისე, როგორც კაპიტალისტურ წარმოებას და კაპიტალისტურ სახელმწიფოს არ შეუძლია იარსებოს, თუ მას არ ეყოლება საკმაოთ მომზადებული მეცნიერული ძალები, ასევე საზოგადოებრივი წარმოება და მუშათა კლასის მიერ მოპოვებული სახელმწიფო ვერ იარსებებს, თუ ასეთი ძალები მას არ ეყოლება. ამ ძალების გარეშე სოციალიზმი არ შეიძლება. მათი პრაქტიკული მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობითი მუშაობაში არ მოითხოვს, რომ ისინი ისე იყვნენ გატაცებულნი ამ საქმით, როგორც ეს საჭიროა სოციალიზმის თეორიის პროპაგანდის და განვითარების დროს. მაგრამ საჭიროა, დიდი ნაწილი ამ თანამშრომლებისა იყოს დარწმუნებული, რომ ნაყოფიერი და სასარგებლო არის სოციალისტური წარმოება და უნდა ისინი გრძნობდნენ, რომ თანამშრომლობით მსხვერპლათ არ სწირავენ თავიანთ შეგნებას. თუ კვალიფიციურ წარმოებაში არ შეიძლება ძალდატანებითი ფიზიკური მუშაობას ჰქონდეს ადგილი, ეს მით უფრო არ შეიძლება გონებრივი მუშაობის სფეროში. სოციალიზმის განხორციელების საქმე მოითხოვს ეჭვების გაფანტვას ინტელიგენციაში, მის ძალაუფლებით აღჭურვას საკმაოდ; ეს არის წინასწარი პირობები სოციალისტური მეურნეობისათვის და თუ საზოგადოება მზად არის სოციალიზმისათვის, ყოველივე ეს პირობები უნდა წინასწარ არსებობდეს. სოციალიზმისათვის საჭირო მატერიალური პირობების არსებობა ხელს უწყობს სოციალიზმის სხვა პირობების არსებობასაც. ამგვარათ, სოციალისტურ რწმენას შეითვისებს მიუდგომელი ინტელიგენტი სინამდვილის შემეცნების გზით.

ბოლშევიკებმა თავიდანვე ვერ შეიგნეს ინტელიგენციის მნიშვნელობა, ისინი ხელმძღვანელობდნენ მხოლოდ ჯარისკაცების, ქალაქის მუშების და გლეხთა სტიქიური აფეთქებით. ინტელიგენტთა მასსა თავის წრის სოციალისტებთან ერთად თავიდანვე ოპოზიციაში ჩადგა ბოლშევიკებს; რადგანაც მათ შეიგნეს, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული დაუყოვნებლივ და სრულ სოციალიზაციისათვის, რომლის გატარებასაც ბოლშევიკები შეუდგნენ. ის ინტელიგენტები, რომლებიც არ ფიქრობდნენ ამაზე,—მაინც ჩამოშორდნენ ბოლშევიკებს, რადგანაც მათ მხოლოდ დევნა და დამცირება იგემეს ბოლშევიკებისაგან. ინტელიგენტები იდევნებოდნენ ქარხნებიდან, რადგანაც თვით მუშებმა მიიღეს მათი ხელმძღვანელობა. ინტელიგენტები მოკლებულნი იყვნენ პოლიტიკურ უფლებებს, რადგანაც მუშათა დეპუტატების ყოვლის შემძლებლობის დროს პოლიტიკური უფლებებით სარგებლობდნენ მხოლოდ ფიზიკური შრომის წარმომადგენლები. თუ ინტელიგენტებს რაიმე გააჩნდა, ჩამოართვეს და მოუსპეს ყოველივე საშუალება ეცხოვრათ კულტურულათ. ბოლოს მათ დააკისრეს სავალდებულო შრომა და შიმშილით სულს ხდიდნენ. ბოლშევიკები ფიქრობდნენ გასძღოლოდნენ საქმეებს ინტელიგენტებისა და სპეციალისტების დაუხმარებლათ.

მეფის თვითმპყრობელობა ასე ფიქრობდა: გენერალს თამამად შეუძლია სახელმწიფოში ამა თუ იმ თანამდებობის ასრულება, ამისათვის არ არის საჭირო სპეციალური წინასწარი ცოდნა და მომზადება.

ბოლშევიკებმა, სხვა მეთოდებთან ერთად, ესეც გადმოიღეს. მათ მხოლოდ გენერლის მაგივრათ წამოაყენეს პროლეტარიატი.

ბოლშევიზმის თეორეტიკოსებმა ამ პროცესს დაარქვეს „სოციალიზმის განვითარება მეცნიერებიდან—მოქმედებამდე". ჩვენ კი შეგვიძლია ამას თამამად ვუწოდოთ: „სოციალიზმის განვითარება მეცნიერებიდან—დილეტანტიზმამდე".

ხელმძღვანელობდა სურვილებით და არ უწევდა რა ანგარიშს ცხოვრებას, საბჭოთა რესპუბლიკა გვიან მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ჭას სახურავი გაუკეთდეს, და ეს შეიგნო მან მაშინ, როდესაც ბავშვი უკვე შიგ ჩავარდა. მათ ინტელიგენცია მიიწვიეს სამუშაოთ, აქ ლაპარაკი არ არის იძულებითი მუშაობის შესახებ, რომლის შესახებაც ზევით იყო ლაპარაკი. არა, მათ მიიწვიეს ინტელიგენცია ისეთ სამუშაოებზე, რომლებზედაც ისინი ივარგებდნენ და რის შესრულებაც მათ შეეძლოთ. ინტელიგენცია, რომელიც საბჭოთა მთავრობის დაწესებულებაში მუშაობს, აღარ ითვლება ბურჟუათ და მას აღარ სდევნიან ისე, როგორც ბურჟუებს. ისინი ჩაირიცხნენ „მშრომელთა" მასსაში, რომლებიც „სასარგებლო" „წარმოებაში" იყვნენ, მათ იფარავენ ექსპროპრიაციისაგან და ეძლევათ საკმაო ჯამაგირი არსებობისათვის. დიდი ნაწილი ინტელიგენციისა ბოლშევიკებთან ამჟამათ არ მიდის არა—იმიტომ, რომ თავისი რწმენა უწყობს ხელს, არა—მას ეშინია დევნის და ძალადობის. ბუნებრივია, რომ ის ნაწილი ინტელიგენციის, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას ემსახურება, დიდ სარგებლობას არ მოუტანს საბჭოთა რესპუბლიკას.

ტროცკი სჩივის ამის შესახებ. ჩვენ მიერ მოყვანილ მოხსენებაში—„შრომა, დისციპლინა და სხვა" ის სწერს: „პირველი პერიოდი საბოტაჟნიკებთან (ინტელიგენტებთან) ბრძოლისა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ დაუნდობლათ ვანადგურებდით საბოტაჟნიკების ორგანიზაციას. ეს საჭირო იყო და, მაშასადამე, სწორიც. ახლა, მეორე პერიოდში, როდესაც საბჭოთა ძალა-უფლება განმტკიცდა, ბრძოლა საბოტაჟნიკების წინააღმდეგ უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ გუშინდელი საბოტაჟნიკი გადავაქციოთ მსახურებათ, აღმასრულებლათ იმ ტეხნიკურ სამუშაოთა, რომელიც საჭიროა საბჭოთა მთავრობისათვის" (გვ. 13, 14).

ამგვარათ, ინტელიგენტი რომ გადაიქცეს სოციალიზაციის ხელმძღვანელ-მსახურათ, ტროცკის აზრით საჭიროა მისი წინასწარი „დაუნდობლათ" გათელვა.

თუ რა ხდება ამ დროს, ამის შესახებ ტროცკი იქვე მოგვითხრობს: „ჩვენ მოვსპეთ საბოტაჟი, რკინის ცოცხით გავდევნეთ ძველი მოხელეები, რომელთა ადგილებსაც, მართალია, ხშირათ იჭერდნენ არა პირველი ხარისხოვანი მსახურნი; განთავისუფლებულ ადგილებზე მიღებულ იქნენ ძველი პარტიული ამხანაგები, რომლებიც ჯურღმულებში და სარდაფებში აწარმოებდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გავლილი ჰქონდათ რევოლიუციონური სკოლა და წარმოადგენდნენ საუკეთესო მებრძოლებს უმწიკვლო, წმინდა, სინდისიერ ელემენტებს, მეორეს მხრით, ჩვენთან მოდიოდნენ კარიერისტები, ინტრიგანები, ბოროტი ელემენტები, რომლებიც ძველი რეჟიმის დროს უსაქმოთ დადიოდნენ. როდესაც საჭირო შეიქნა

---

*) იხ. „ერთობა" №№ 17, 20, 22, 24, 26.

რენციამ განსაზღვრა უფლება და მოვალეობები სამხედრო კომისიისა, რომელიც ბუდაპეშტში იქნება.

სატელეგრაფო ცნობები

მოსკოვი. თებერ. 6. სამხედრო ცნობა. ჩრდილოეთ დვინის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა მტერი გამაგრებული პოზიციებიდან გამოდევნა და 90 ტყვე წამოიყვანეს. ტროიცკო ცერკოვნის მიმართ. ჩვენმა ჯარმა სოფლები [illegible]. ტროიცკოის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბრძოლა ცვალებადია. რეჟიცის მიმართულებით რიგის გზის რაიონში ჩვენ მტრის იერიშები მოვიგერიეთ. პოლოცკის რაიონში დრისის მიმართულებით ჩვენი ჯარი იძულებული შეიქნა ახალი პოზიციებისაკენ დაეხია. მოზირის და ჟიტომირის რაიონში მცირე ნაწილები მოქმედ. [illegible] რაიონში ჩვენ [illegible] და სოფლები ავიღეთ. ოდესის მიმართულებით ჩვენი ჯარი ოდესის ჩრდილო-აღმოსავლეთით 20—30 ვერსზე ზღვის ნაპირზე შეტევას აწარმოებს. სივაშის ყელის შემდეგ ჩვენი ჯარი სივაშის ხიდის ხელში ჩასაგდებად იბრძვის. ნოვოჩერკასკის რაიონში ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. [illegible] რაიონში [illegible] დამარცხებული მტერი ტიხორეცკაიასაკენ უწესრიგოთ იხევს. ცარიცინის მიმართულებით სვიატოი კრესტის ჩრდილო-დასავლეთით 55 ვერსზე ჩვენ სოფლები ავიღეთ. [illegible] რაიონში ჩვენ სადგ. [illegible] ავიღეთ.

ბერლინი, თებერვლის 3. ლოიდ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ის წინააღმდეგობას არ გაუწევს პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთის შორის ზავის შეკვრას.

მოსკოვი, თებ. 6. რადეკმა განაცხადა [illegible] დეპეშები მოდის, რომ პირველ მარტისათვის ტრედ-იუნიონების [illegible] პროფესიონალური კავშირების მე-3 ყრილობაზე შეუძლებელია, მოსკოვი კავშირების ცენტრი. საბჭოს საჩქარო ყრილობაზე დაადგინა მე-3 ყრილობა გადადონ 5 აპრილისათვის.

ახალი ამბები

◆ მთავრობის თავმჯდომარემ სოხუმიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „სოხუმის მოქალაქეთა მრავალ რიცხოვანმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, სალამს გიძღვნის თქვენ და აღთქმას სდებს, რომ სოხუმის მოქალაქენი ლოიალური შვილები იქნებიან ყველა ჩვენთვის ძვირფასი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა". თავმჯდომარე [illegible].

◆ მიწათ მოქმედების მინისტრის განკარგულებით ალაგაურებულ ქართველებს, რომელნიც ხოდ. [illegible] დასახლდნენ, უნდა მიეცეთ 300,000 მანეთი სათესლეს შესაძენათ.

◆ საგანგებო სასამართლოს შესახებ. გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა, თითქოს მარტის პირველიდან თბილისში უქმდება საგანგებო სასამართლო, რომლის ფუნქციებსაც შეასრულებს ახლად დაარსებული ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. იუსტიციის სამინისტროს კანცელარია გვთხოვს განმოვაცხადოთ, რომ ეს ცნობა სიმართლეს არ შეესაბამება და ხსენებული სასამართლო განაგრძობს თავისი მუშაობას.

◆ თელავიდან ერობის გამგეობა დეპეშით გვატყობინებს: პირველ თებერვალს მილიციის და გვარდიის შეერთებული მოქმედებით მოკლულ იქნენ თელავის მაზრაში მოთარეშე ყაჩაღთა ბრბოს მთავარი ხელმძღვანელნი ქიტია ხმიადაშვილი და თედო წიწრიაშვილი.

◆ სახალხო სახლი. დღეს, საღამოს ქართ. დრამ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება 1) „სიძე-სიმამრი" 2) „[illegible]". ბილეთების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ „ეშმაკის მათრახი". გამოვიდა მორიგი მე 12 ე № „ეშმაკის მათრახისა, შემდეგის შინაარსით: ბათუმში, თავფურნასი—გურჯული სცენა (ფელეტონი), ჯიბილისა—მაჭარებელი ავაზის ტყავისა, ბალმონტისა (თარგმანი)—მრავალი უნდა ბონებსა, თუ კაცი მოიგონებსა. (მკითხველთათვის მეტად სასიამოვნო ამბავი, 10 სურათით) ტექსტი თავფურნასი და ეშმაკისა, სურათები ა. ზ—სა.—მცირე მოსაზრებანი დიდ საკითხზე, ეშმაკისა—გურიაში მოგზაურობა, ისელისა—ჩივილი ბუტუნაში და სხვ. ნომერში მოთავსებულია მრავალი კარიკატურა.

◆ მუშათა კლუბი. დღეს, 8 თებერვალს, მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ., № 123) კლუბთან არს. ქართ. დრ. წრის მიერ წარმოდგენილი იქმნება 4 მოქმ. დრ. „უმუშევარნი".

◆ ლექციები. სამშაბათს, ათ თებერვალს, ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ. 123), ამხ. მანდელშტამი, საქ. ახალგაზრდა მარქსის. ცენტრალური კომიტეტის სასარგებლოთ წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „მუშათა კლასის დღევანდელი ეკონომიური პოლიტიკა". დასაწყისი საღ. 8 საათზე.

— დღეს შუადღის 12 ს., არტისტიულ საზოგადოებაში (რუსთაველის პრ.) პროფ. ს. ლ. ავალიანი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „ომი და მისი ეკონომიური შედეგი".

— დღეს, დილის 11 ს., სახელმწიფო უნივერსიტეტის ს.-დ. სტუდენტთა მეცნიერულ ფილოსოფიურ წრეში ამხ. ნ. იმნაიშვილი წაიკითხავს მორიგ ლექციას ფილოსოფიიდან.

ქრონიკა

კვირას, 8 თებერვალს, დილის 11 ს. და ორშაბათს, 9 თებერვალს, საღამოს სრულ 6 საათზე დანიშნულია სხდომა ქალაქის საბჭოს ს. დ. ფრაქციისა.

— დღეს, 8 თებერვალს, მუშათა კლუბის შენობაში (მიხეილის პრ. № 123) შესდგება ლითონზე მომუშავე მუშათა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. თუ დილის 10 ს. არ შეიკრიბება კანონიერი რიცხვი წევრებისა, მეორე კრება გაიხსნება ამავე დღის დილის 11 ს. და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

— დღეს, 8 თებერვალს, საღ. 7 ს., ქართულ კლუბში მოხდება პირველი სხდომა დრამატიულ საზ-ბის ახლად არჩეულ გამგეობისა.

— დღეს, 8 თებერვალს, დილის 11 საათ. პირველი გიმნაზიის შენობაში შესდგება თბილისის საკრედიტო დაწესებულებებში მოსამსახურეთა საერთო კრება.

— კვირას, 8 თებერვალს 4 ს. სახალხო უნივერსიტეტის ველაბარის განყოფილების შენობაში დანიშნულია მე-8 რაიონის ახალგაზრდა მარქსისტების საზოგადო კრება.

სახაზინო თეატრში
კვირას, 8 თებერვალს, ყოფილი წევრი სახელმწიფო სათათბიროს სოც. დემ. ფრაქციისა, ყოფილი წევრი დროებითი მთავრობისა
მ. ი. სკობელევი
წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:
„რუსეთის რევოლუცია"
მოგონებანი და პერსპექტივები.
ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი ნაშუადღევის 4 ს.
(შდ. 2—2)

საუბარი ნუბარ-ფაშასთან

„აშხატავორში" (№ 30) მოთავსებულია ნუბარ-ფაშის საუბარი ამერიკიდან პარიზში მოსულ სომხებთან.

— რა უნდა ვქნათ, ეკითხებიან მოსაუბრენი ნუბარ ფაშას, როცა ამერიკა უარს ამბობს სომხეთის მანდატის მიღებაზე?

— მეზობელი გახდებით საფრანგეთისა; არარატის რესპუბლიკის არსებობა უკვე ფაქტია.

არარატის რესპუბლიკას შეუერთდებიან დაპირებული სომხური პროვინციები.

ახლა ინგლისი, საფრანგეთი და სხვა მოკავშირე სახელმწიფონი ძალიან მეზომიერათ გვექცევიან,—მაგალითად, საფრანგეთი რადიკალურ ზომებს იღებს კილიკიაში და მის მიდამოებში.

კილიკიის მმართველი პოლკოვნიკი პრემი სომხების მომხრეა, მას გადაზავნა 500,000 ფრანკი სომეხი ობლების სასარგებლოთ, მან დაიწყო დამნაშავეების დასჯა. იწვევს შორი ადგილებიდან სომეხ-ლტოლვილებს.

— როგორია თქვენი აზრი კილიკიის მომავალზე?

— როგორც სჩანს, 1916 წლის ხელშეკრულობა უნდა განხორციელდეს. საფრანგეთი დროებითი აპეკუნი იქნება კილიკიისა.

— დამოუკიდებელი სომხეთის საზღვრები მეზობლათ იქნებიან კილიკიასთან?

— ამ მხრით საჭიროა განსაკუთრებული ცდა.

— როცა ამერიკას არ უნდა მანდატის მიღება მთელ სომხეთზე, თქვენ ხომ არ მიგიმართიათ ინგლისისა და საფრანგეთისათვის?

— გაერთიანებულ სომხეთზე მანდატის მიღება არც ინგლისსა სურს და არც საფრანგეთს, [illegible] მიზეზები, მაგრამ უფლება არა მაქვს გამოვაქვეყნო ეს მიზეზები. რაც უნდა იყოს, რაც უნდა ჰქნენ, ფაქტი ის არის, რომ სომხეთის განთავისუფლება უკვე გადაჭრილია. მე იმედი მაქვს და გარწმუნებთ, რომ ამ ძნელ პირობებში ჩვენ ხელთ არის თავისუფლება. რომელიმე ერის, განსაკუთრებით, სომეხი ერის პოლიტიკური ძალები, მაგრამ არ გაიფანტება და ჩვენ სწორედ ხვალ დავიწყებთ აღმშენებლობითი მუშაობას ჩვენ ნამდვილ სამშობლოში. სომხეთი სომხებისაა; ყველა სომეხმა უნდა გაიგოს ეს ჭეშმარიტება და ისე მოიქცეს...

უცხოეთი

რუსეთი

დენიკინის სიტყვა. 17 იანვარს (ძველი სტილით) ყუბანის, დონის და თერგის ოლქების ჯარების უმაღლეს „კრუგის" სხდომაზე გენერალმა დენიკინმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა მისი ჯარის დამარცხების შესახებ. მან აღნიშნა, რომ მემარჯვენეებს ჰგონიათ ჩვენი ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ ჩვენს პროგრამას არ ვახორციელებდით ისე მტკიცედ, როგორც საჭირო იყო, მემარცხენეები კი რეაქციონრობას გვისაყვედურებენ, ზოგს დამარცხების მიზეზათ ჰგონია ის, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებს არ ვეპყრობოდით ლოიალურათ. მე ეხლა, სთქვა დენიკინმა, მსურს დავივიწყო ის შეცდომები, რომელიც შეიძლება ჩვენ გვქონდა და გამოვისყიდოთ ყოველივე დანაშაული, რომელიც სამშობლოს წინაშე მიგვიძღვის. რა მოხდა ფრონტზე? თუ ჩვენ ცარიცინის მიმართულებით მტრის დიდ ძალასთან გვქონდა საქმე,—ჩვენდა სამარცხვინოდ როსტოვთან და ნოვოჩერკასკთან ჩვენი ძალები აღემატებოდენ მტრისას, მაგრამ მაინც დავმარცხდით. მიზეზი ამისა არის ის, რომ არ არსებობდა ჯარში ერთსულოვნება და მავნე ელემენტები პროპაგანდას ეწეოდენ. შემდეგ ამისა დენიკინმა აღნიშნა, რომ მდგომარეობა თანდათან გამოკეთდა თუმცა პროპაგანდას ახლაც აქვს ადგილი და დიდ ზიანსაც აყენებს ფრონტს. მაგალითად, ხოპერის პოლკმა უარი განაცხადა ფრონტზე წასვლაზე. მე ვიბრძვი რუსეთისათვის და არა ძალა-უფლებისათვის. მაგრამ საჭიროა ჯარების მთავარ სარდალს მთელი ძალა-უფლება ჰქონდეს ამას მოითხოვს საქმის ინტერესი. მიზანი ჩვენი: 1) მთლიანი განუყოფელი დიდი რუსეთი, 2) დონის და ყუბანის ჯარები, რუსეთის მთლიან ჯარების ნაწილს უნდა შეადგენდნენ, 3) ბოლშევიკებთან უნდა გაწარმოვოთ ბრძოლა—გამარჯვებამდე. ავტონომია განაპირა კუთხეებს, რუსეთის დამფუძნებელი კრება, მიწა მშრომელ გლეხობას და ყაზახობას. მუშათა პროფესიონალური ინტერესების დაცვა და სხვა. მე მსურს რუსეთის ბედნიერება და სულ ერთია—იქნება რესპუბლიკა, თუ მონარქიული წყობილება, მე ორივეს ვემსახურებით.

შრომის ლატარია

„დედათა და ბავშვთა დამცველი საზოგადოების" დღის მომწყობ კომისიაში შრომის ლატარიაში გასათამაშებლად შევიდა შემდეგი შეწირულება: მინისტრებთან რიგს გარეშე მიღება 24, ექიმებმა შემოსწირეს სახლში, საავადმყოფოში და კაბინეტში მიღება 165, კბილის ექიმებმა (დაპლომბვა, კბილის ჩადგმა და ამოძრობა) 58, ნაფიც ვექილებმა (უფასო იურიდიული დარიგება) 40, ნოტარიუსებმა რწმუნებულობის შესრულება, ასლების დამტკიცება, ხელშეკრულობის შედგენა 51, პოეტებმა და მხატვრებმა 10, აფთიაქებმა (რეცეპტების უფასოთ დამზადება) 142, გასართობებმა (თეატრები, კინემატოგრაფები, ცირკები) 125. რესტორანებმა (უფასო ვახშამი და სადილი) 19. პარიკმახერები (ქალის „პრიჩოსკები", მანიკიურები, გაპარსვა, გაკრეჭა) 47. მკერავები (უფასო შეკერვა) 62. მკერავი ქალები (ქუდების გადაკეთება და შეკეთება) 27. საკანდიტეროებიდან 16. სტამბები (მუშაობის შესრულება) 18. განცხადებები (გაზეთის ყველა გვერდზე). 14. მეწაღეები (ძირის გაკეთება) 24. პირადი შრომა—შოფერებისა, ზეინკლების, მოსამსახურეების, შავი მუშების, მეთამბაქოების, ოფიციანტების და სხვა 200 და სხვა.

კომისია განაგრძობს ახალ შემოწირულების მიღებას.

დედების და ბავშვების დღე

დღეს, 8 თებერვალს, იმართება „დედების და ბავშვების დამცველი საზოგადოების დღე".

ამ საზოგადოების მიზანი და დანიშნულება იმდენათ სიმპატიურია, იმდენათ მნიშვნელოვანი და საპატიოა, რომ, უეჭველია, ჩვენი საზოგადოება მხურვალე მონაწილეობას მიიღებს „დღის" ღირსეულად ჩასატარებლად და ასე, საშუალებას მისცემს ამ სიმპატიურ საზოგადოებას თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულოს. მოკეთე.

ბათუმი

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია 29 თებერვლისათვის. ამომრჩეველთა სიები შედგენილია და უკვე გამოქვეყნდა. აღწერის შედეგები ასეთია: ქრისტ. ქართველები—4045; სომხები—2230; ბერძნები—1854; რუსები—1734; ქართველი მაჰმადიანები—656; ებრაელები—534; [illegible]—259; ოსმალოები—213, ევროპის სხვა ერები—328; აზიის სხვა ერები—247; აფხაზები—46. სულ ამ აღწერის მიხედვით ხმის უფლება აქვთ 12,146 კაცს.

— სასურსათო საქმის გამგეთ ა. ურინოვსკის მაგიერ, რომელიც თანამდებობიდან განთავისუფლებულია თანამდებობისგან, ინგლისის სარდლობამ დანიშნა დროებითი საბჭო, რომელშიაც შედიან განყოფილებათა ყველა უფროსები: ბუღალტერი—ზ. სუხოვი; პურის განყოფილებისა—მ. მარკმანი; ყოფილი მდივანი—ნ. ი. ბოჟორიშვილი; ნავთის განყ.—პასიკოვი და საკანტროლო განყ.—პავლოვი, თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბ. ბოჟორიშვილი. საბჭო უკვე შეუდგა დაკისრებულ თანამდებობის ასრულებას.

— დონის ფულის მიღება გუბერნატორის ბრძანების თანახმად არა სავალდებულოთ არის აღიარებული. ამ განკარგულებამ სიძვირეზე თითქმის ვერავითარი გავლენა მოახდინა. ბონებზე საქონელი თითქმის იმავე ფასებში იყიდება. ეს იმიტომ უმთავრესათ აქაური აფთიაქრებზე, რომელნიც წამლებს მხოლოდ ბონებზე ჰყიდიან და ფულის კურსს კი არავითარ ანგარიშს არ უწევენ.

— აქაურმა ქართველმა ვაჭრებმა გადასწყვიტეს დაარსონ ბანკი. აქციები იქნება ათასი მანეთი. გადამწყვეტი ხმის უფლება კრებებზე ექნება 25 აქციის პატრონს. არჩეულია შვიდი კაცისაგან საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც დავალა 15 თებერვლამდის შეაგროვოს აქციათა 50 პროც., ბანკი ახლო მომავალში დაიწყებს მოქმედებას.

— 31 იანვარს შესდგა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს სხდომა. გასარჩევი იყო საკითხი საქალაქო არჩევნების შესახებ. იყო ორი მიმდინარეობა ერთი ბოიკოტის და მეორე მონაწილეობის მიღების მომხრეთა. ვერც ერთმა მიმდინარეობამ საჭირო უმრავლესობა ვერ შეკრიბა. ამიტომაც კითხვა გადატანილ იქნა მუშათა კონფერენციაზე, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 4 თებერვლისათვის.

დაგვიანებული პასუხი

„სახალხო საქმე"-ს № 713-ში ოფ. ეკონ. საზ. გამგეობის ყოფილმა თავმჯდომარემ ბ. იოსავამ შეუბრალებლად და უმოწყალოდ გამოილანძღა ხსენებული საზოგადოების მუშა მოსამსახურეთა საბჭოს წინადმდეგ. ის, ერთი მხრით, იცავს იმავე „სახალხო საქმე"-ს № 696-ში მოთავსებულ კორესპონდენციის ავტორს ბ. „შეუპოვარს" და, მეორე მხრით, ჩვენი პრესტიჟის დაცემას ლამობს საზოგადოების თვალში, მაგრამ, როგორც ქვეით დაინახავს

სამუშაოზე ათასობით საქმის მცოდნე მშრომელთა მიღება, არ არის გასაკვირველი, თუ ბევრს, ავაზაკს შეძლება მიეცა ახალი რეჟიმისათვის თავი შეეფარებინა. ამას კიდევ ის უნდა დავუმატოთ, რომ ბევრი ამხანაგები, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებებში მუშაობენ, ვერ იჩენენ უნარს ორგანიზაციული შემოქმედებითი მუშაობის. საბჭოთა დაწესებულებებში ყოველ ნაბიჯზე ჩვენ ვამჩნევთ, რომ ბევრი ამხანაგები, ოქტომბრის ბოლშევიკები, მუშაობენ სამსახურებში 4—5 ს, და იმასაც არა ინტენსიურათ იმ დროს, როდესაც მდგომარეობა მოითხოვს გაორკეცებული ენერგიით მუშაობას (გვ. 18, 19).

ეს იყო „აუცილებელი" და არა „სწორი" პოლიტიკის შედეგი. ინტელიგენცია სამუშაოთ მიიწვიეს არა იმიტომ, თითქოს ის დაარწმუნეს თავიანთ მოღვაწეობის მიზანშეწონილობაზე, არამედ—მას ხელ შეუდგნენ ფეხებით და აიძულეს მუშაობისათვის ხელი მოეკიდნა. რომ მიეღწიათ კარგი შედეგებისათვის, ბოლშევიკებმა დაუყოვნებლივ ერთ საშუალებას მიმართეს.

პარიზის კომუნამ 1871 წელს დაუდგინა სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეებს ჯამაგირები და დააწესა უმაღლესი ჯამაგირი 6000 ფრანკი. მოისურვა ამის შესრულება საბჭოთა რესპუბლიკამაც და ის ამ შემთხვევაშიაც იძულებული შეიქნა ძველს დაბრუნებოდა. ლენინი ამის შესახებ წერს: „ჩვენ უნდა მივმართოთ ძველ ბურჟუაზიულ საშუალებას და უნდა დიდი ჯამაგირი დაუნიშნოთ ბურჟუაზიულ სპეციალისტებს იმ „სამსახურისათვის", რომლებსაც ისინი გაგვიწევენ. ცხადია, ასეთი ზომა იქნება კომპრომისული და იქნება დარღვევა პარიზის კომუნის და ყოველივე პროლეტარული პრინციპისა... ცხადია, ასეთი ზომა ნიშნავს არა მარტო კაპიტალის წინააღმდეგ გალაშქრების შეჩერებას, არამედ—ეს არის ერთი ნაბიჯით უკან დახევა". („უახლოესი მიზნები საბჭოთა მთავრობისა" გვ 19).

სხვა არაფერი დაგვრჩენიათ, ფიქრობს ლენინი და ის მართალი არის ამ შემთხვევაში! დიდი ჯამაგირების დაწესება შეიძლება გამოწვეული იყოს ორი მიზეზით: სადაც დიდი წარმოება არის და რამდენათაც მეტია იქ დაბანდებული მუშა ხელი, იმდენათ ზედმეტი ღირებულება იქმნება. თუ, მაგალითად მუშა ერთ დღეში ჰქმნის ხუთი მარკის ღირებულებას, ის წარმოება, სადაც 100 მუშა დაბანდებულია, 500 მარკის ღირებულებას შექმნის, სადაც 1000—5,000 მარკა. რამდენათაც დიდია წარმოება, მით ძნელია მისი ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და რადგანაც ასეთ პირთა დიდი ნაკლებობაა, წარმოებათა პატრონნი დიდძალ ფულს ხარჯავენ, რომ ასეთი პირნი მიიზიდონ. რამდენათაც იზრდება მსხვილი წარმოებები, იმდენათ იზრდება ხელმძღვანელთა ჯამაგირები და ხშირათ წარმოუდგენელ სიმაღლემდე აღის. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიაქციოს სახელმწიფომ. თუ ჯამაგირების მომატება ერთ დონეზე ერთნაირი არ იქნება ყველა დაწესებულებებში, მაშინ კერძო მეწარმეები გადაიბირებენ დიდ მოხელეებს, თუ კი ისინი გამოსადეგნი იქნებიან და არ იქნებიან მხოლოდ სინეკურები.

ამგვარათ, სახელმწიფო მართველობა სულიერათ ეცემა და ეს არის ერთი საფუძველთაგანი იმისი, რომ ხშირათ სახელმწიფო მეურნეობას არ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს კერძო პირთა მეურნეობას.

ჩვენ არ ვიცით, რა იქნებოდა, რომ პარიზის კომუნა არ დაცემულიყო,—მსხვილ წარმოებათა სოციალიზაცია რომ არ მოეყვანათ. წარმოება რომ დარჩენილიყო კაპიტალისტურ ფორმებში, იგი, უეჭველია, განვითარდებოდა და მაშინ შესაძლებელი იქნებოდა თუ არა იმ ჯამაგირების რაოდენობის ერთ დონეზე შეჩერება, რომელიც პარიზის კომუნამ დააწესა—სახელდობრ, 6000 ფრანკი? ის დეკრეტი, რომელიც აწესებდა ჯამაგირების რაოდენობას, ადასტურებს პარიზის მეწარმეობის წვრილ ბურჟუაზიულ ხასიათს. ის აგრეთვე მაჩვენებელია კომუნის წევრთა [illegible]. კერძო მეწარმეობის მეტოქეობა არ არის საშიში იმის, რომ [illegible] „სპეციალისტებს" განუსაზღვრელი ჯამაგირები ეძლეოდეთ. კერძო პირთა წარმოება ან დანგრეულია, ან ჩამორთმეულია საბჭოთა მთავრობის მიერ და მათ არავითარი ზედმეტი ღირებულება არ რჩებათ. დიდი ჯამაგირების დაწესება ემსახურება ერთ მიზანს. ჯამაგირების მომატების მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ის ინტელიგენცია, რომელიც ზიზღით უყურებს საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობას, დიდი ჯამაგირით დაინტერესდეს და ემსახუროს საბჭოთა რესპუბლიკას. სურთ ფულით დაინტერესონ ინტელიგენცია და შეაყვარონ ახალი რეჟიმი. რადგანაც შთაგონებით ინტელიგენცია ვერ მიიზიდეს და არც შიშით მიაღწია თავის მიზანს, დარჩა მხოლოდ ერთი გამოსავალი: ამ პირთა ფულით მისყიდვა და მათთვის კაპიტალისტური პირობების შექმნა.

ჩვენ დავინახეთ, თუ რას წარმოადგენენ ის ელემენტები, რომელთაც საბჭოთა რესპუბლიკამ სოციალისტურ წარმოებათა ხელმძღვანელობა დააკისრა—ერთ მხარეზე არიან თეორიულ პატიოსანი შეთქმულთაგანი, იდეით გამსჭვალულნი, მაგრამ საქმეში „გამოუცდელი ნოვატორები". მეორე მხარეზე—ბურჟუაზიული ინტელიგენტები, რომლებიც მოქმედებენ თავიანთი რწმენის წინააღმდეგ. ამასთან ერთად, ზოგიერთები არიან მხოლოდ კარიერისტები და თავიანთ მიზნის მისაღწევად ემსახურებიან საბჭოთა რესპუბლიკას. ისინი ყოველგვარ მთავრობას ერთნაირად ემსახურებიან. მეორენი იძულებული ხდებიან ემსახურონ ბოლშევიკებს, რათა შიმშილით სული არ ამოხდეთ და ზოგნი კი—დიდი ჯამაგირებით ხარბდებიან და თავსა ჰყიდიან. ყველა ესენი როგორც თვით ტროცკი აღიარებს, არიან „არა პირველ ხარისხოვანი ელემენტები". შეიძლება მათ საქმე იციან, მაგრამ სინდისი აკლიათ, სამაგიეროთ, თუ სინდისი აქვთ—საქმე არ იციან.

ერთი და იმავე დროს, სინდისიერი და საქმის მცოდნეც მათ წრეში თეთრ ყვავებს წარმოადგენენ. ამ ხალხს ეძლევა დიქტატურული უფლება, რომელთაც მუშები სიტყვის შეუბრუნებლად უნდა ემორჩილებოდნენ და ყოველივე ეს ხდება სოციალიზმის სახელით! ასეთი ძალა-უფლება კარგსაც კი გააფუჭებს! აქ კი ახლით ნდობით სურათ ალშევიკურ ხალხი, რომელიც უკვე წამხდარია.

იმ დროს, როცა გაღატაკებულია ყველა და ხალხის ექსპროპრიაცია ხდება, აი ამ დროს მოხელეების ხელში აგროვებული სიმდიდრე გროვდება—საფუძველი ახალი კაპიტალიზმისა. საქონლის წარმოება გრძელდება, ის გაგრძელდება კიდეც, რადგანაც გლეხური წარმოება, როგორც კერძო პირთა მეურნეობა, არსებობს და დიდ როლსაც ასრულებს საბჭოთა რუსეთის ცხოვრებაში. ამავე დროს გლეხური მიწის მეურნეობა, ნაკლებს ზედმეტ ღირებულებას ჰქმნის ქვეყნისათვის. მთელი ძალა-უფლება სოფლებში ღატაკ გლეხების ხელშია, რომელთაც ისეთი მცირე მიწები აქვთ, რომ არ შეუძლიათ არავითარი ზედმეტი ღირებულების შექმნა. ის ზედმეტი სურსათი, რომელიც მდიდარ გლეხობის ხელშია, ერთმევათ მუქთად ამ გლეხებს და სახელმწიფო პუნქტებში გროვდება. ეს ზომა, ე. ი. იძულებითი ჩამორთმევა, მხოლოდ ერთხელ ტარდება ცხოვრებაში, რადგანაც მეორე წელს შეძლებული გლეხი შეეცდება იმდენი მოიყვანოს, რაც მას ეყოფა თავისი საჭიროებისათვის. სურსათის იძულებითი ჩამორთმევა ხელს უწყობს მიწის მეურნეობის შემცირებას. თუ გლეხს მაინც ზედმეტი მოსავალი მოუვიდა, ის მას მალავს და ჩუმათ ჰყიდის ვაჭრებზე.

ამავე დროს, წარმოებაც ეცემა და სახელმწიფოს ხარჯების დაფარვა შესაძლებელი ხდება მხოლოდ აურიცხელი ქაღალდის ფულის ნიშნების გამოცემით.

ესაა მიზეზი, რომ ასეთ გავრცელებულა ვალიუტით ვაჭრობა, მისი სპეკულაცია. ასევე იყო საფრანგეთის რევოლუციის დროს, ასეთსავე მოვლენას აქვს ადგილი გერმანიაშიაც, თუმცა გერმანიაში არ არის იმ ზომამდე გავრცელებული ეს სპეკულაცია. ბოლშევიკებმა ნამდვილათ მოსპეს ყველა ფორმა კაპიტალიზმისა, რომელიც ხელს უწყობს შრომის ნაყოფიერებას და ჰქმნის მასსის არსებობისათვის უკეთეს მატერიალურ პირობებს და მის პარაზიტულ, პრიმიტიულ ცხოვრების ფორმების განვითარებას ხელს უწყობს.

საბჭოთა რეჟიმი საფრანგეთის ტერორისტულ მთავრობის დარჩენითა ცდილობს მოსპოს სიძვირე და ამის საშუალებით მიაჩნია სპეკულიანტების, მეფუთეების და ვაჭრების განადგურება. საფრანგეთში გილიოტინებს ამუშავებდნენ, საბჭოთა რუსეთში კი ხალხს ხვრეტენ. შედეგი ერთი და იგივეა. ერთიც ერთი შედეგი ამისა ისაა, როგორც ეს იყო 1793 წელს, რომ ყაჩაღური კაპიტალი იწვევს რა დიდ „რისკს", დიდ მოგებასაც იღებს ამისათვის. ამას თან სდევს მექრთამეობის უაღრესათ განვითარება, დიქტატორები დიდ ძალ ფულებს სთხოვენ იმ სპეკულიანტებს, რომლებიც თავიანთ გაუფრთხილებლობით უვარდებიან მათ ხელში. და ესეც ხელს უწყობს მოხელეთა გამდიდრებას. ვისაც სურს დაწვრილებით გაეცნოს რუსეთის ახალ ბიუროკრატიის მექრთამეობას, მან უნდა წაიკითხოს გავრონსკის წიგნი: „რუსეთის ბოლშევიზმის შედეგები." ამ წიგნში 58 გვერდიდან რამდენიმე ფურცელზე მოთხრობილია ყველა ის შემთხვევები, რომლითაც სარგებლობენ დიქტატორები და აძრობენ ტყავს ყველას, ეს ის დიქტატორები არიან, რომელთაც მუშები უსიტყვოთ უნდა ემორჩილებოდნენ. მასსის და დიქტატორების მორალის ასამაღლებლათ, საბჭოთა მთავრობამ შემოიღო ერთი საშუალება—სასამართლოების ტერორი. თუ პროლეტარიატის დიქტატურაზე მაღლა სდგას მისი „ორგანიზატორის" დიქტატურა, უკანასკნელზე მაღლა სდგას სასამართლოს დიქტატურა.

არსდება მთელი რიგი ტრიბუნალებისა და საგანგებო კომისიებისა, რომლებიც ებრძვიან კონტრ-რევოლუციას, სპეკულიაციას და მოხელეთა მიერ სამსახურში ჩადენილ ბოროტმოქმედებას. ეს ტრიბუნალები ასამართლებენ ყველა მათ, ვისაც დაასმენენ მათთან, ასამართლებენ თავიანთი შეხედულებით, ხვრეტენ ყველას ვინც არ მოეწონებათ. სპეკულიანტებს, რომლებიც მათ ფეხქვეშ ხვდებიან, ხვრეტენ, სჯიან იმ საბჭოთა მოხელეებსაც, რომლებიც სპეკულიანტებს ხელს უწყობდნენ. მაგრამ ისინი ამით არ კმაყოფილდებიან და სჯიან ყველა იმ პატიოსან ადამიანთაც, რომელნიც ბედავენ და კრიტიკას უწევენ ამ სასამართლოების მოღვაწეობას. ყოველი ოპოზიციონერი, რა კეთილი სურვილებითაც არ უნდა იყოს გამსჭვალული ის, „კონტრრევოლუციონერთა" ბანაკში ხვდება და სასამართლოს რისხვა მას არ ასცდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სასამართლოები ვერ აღწევენ თავიანთ მიზანს. პატიოსანი მოღვაწეები ბოლშევიკების წრიდან აღიარებენ იმ სამწუხარო ფაქტს, რომ ეს საგანგებო კომისიები, რომლებზედაც ამყარებდნენ დიდ იმედებს, ვერ აღწევენ თავის მიზანს,—თვით სასამართლოები გახრწნილი არიან. გავრონსკის თავის წიგნის მე 61 გვერდიდან „საგანგებო კომისიის ყოვლისმცოდნეების" მიმოხილვიდან მოჰყავს შემდეგი:

„ყოველ მხრიდან მოდის ჩვენთან ცნობები, რომ გუბერნიების და მაზრის „ჩრეზვიჩაიკებში". მოხვდნენ არამც თუ ულირსი ელემენტები, არამედ—პირდაპირ ბოროტი ელემენტები. გავრონსკი (62 გვ.) გვაცნობს, რომ ეს ბოროტი ელემენტები, არამც თუ ცდილობენ სასამართლოებში და „ჩრეზვიჩაიკებში" მოკალათებას, არამედ მოიკალათებს კიდეც და აკეთებენ თავიანთ ბნელ საქმეებს. რევოლუციონური კომუნიზმის ცენტრალური ორგანო „ვოლია ტრუდა" 1918 წ. 10 ოქტომბრის ნომრიდან გავრონსკის მოჰყავს შემდეგი ადგილი: „ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც ადგილობრივი საბჭოები „ჩრეზვიჩაიკების" ტერორის ქვეშ იმყოფებოდენ. საბჭოებში იყვნენ საუკეთესო ელემენტები იმ დროს, როცა „ჩრეზვიჩაიკებში" მოექცნენ ისეთი ელემენტები, რომლებიც ყოველგვარი ბანდიტიზმის ჩამდენი იყვნენ".

ამგვარათ ბოლშევიკების ტაქტიკის წყალობით, იმ პროგრამიდან, რომ სოციალიზმი უნდა განახლებულიყო კაცობრიობა, არაფერი დარჩა გარდა ორიოდე პატიოსან მებრძოლისა, რომლებიც მოხვდნენ გახრწნილ მორევში, რაც თანდათან იზრდება და საბოლოოთ შთანთქავს [illegible] მათ.

(შემდეგი იქნება)

ქუთაისელი, ბ. იოსავა ვერც ერთს შესძლებს და ვერც მეორეს; როგორც ჩვენ წინა წერილში (იხ. სახ. საქ. № 699) ვწერდით, თავიდან ბოლომდე სიყალბეზე იყო აგებული ბ. „შეუპოვარის" წერილი და ამიტომ საბჭოს თავის მოვალეობათ მიაჩნდა ემხილა თვით ავტორი და მის მიერ ნაქებ-ნადიდები იოსავაც. ამხილა კიდეც! მაგრამ, როგორც ბ. „შეუპოვარს" აღარა დარჩენია საპასუხო, ეხლა ბ. იოსავამ ჩამოუქროლა საბჭოს.

ბ. იოსავას სჯერა, მათ შორის, ალბად საბჭოშიაც, ეპარება ეჭვი, რომ ტყუილად ახმაურდენ ოფიც. ეკონ. საზოგ. გარშემო, დაინტერესებული არ არიანო და პასუხის დასასრულს წინასწარმეტყველებს კიდეც—ორ თვეში მოგონებაღა დარჩება ამ საზოგადოებიდანო... სამწუხაროა და სავალალოა სიმართლეში, ჩვენც უნდა დავეთანხმოთ, რომ, თუ მართლა ისე წავიდა საქმე, როგორც ბ. იოსავას დროს მიდიოდა და როგორი მემკვიდრეობაც მან დაუტოვა ახლანდელ გამგეობას, შეიძლება, სხვები შეიქნენ ბ. იოსავას „მიცვალებულის" ქირისუფალი და მესაფლავენი, რადგან ძლიერ ძნელი იქნება საზოგ. საქმეთა გამოსწორება, თუ განსაკუთრებული ზომები არ მიიღეს ამ მიზნით. ხოლო ჩვენ ძლიერ კარგათ გვესმის თუ რად აფრქვევთ ასე ნიანგის ცრემლებს და რად დასტირით. საქმე ის არის, რომ სულ ახლო მომავალში უნდა მოხდეს საზოგ. რწმუნებულთა საზოგადო კრება და თქვენი გამოლაშქრება, ეს გროვეარი წინასწარი ბლოკია მომავალი ყრილობისთვის!—ძალთა კოორდინაცია.

წერილის დასაწყისშივე ახირებულ მოთხოვნილებებს უყენებთ საბჭოს, თუ ფიქრობთ, რომ ფაქტების ასეთი შეურაცხყოფით ფონს გახვალთ, ძლიერ ცდებით, ბ. იოსავა! თქვენ ჩამოთვლილი გაქვთ, თუ რამდენი ნოქარი დაითხოვეს და პასუხის გეგმაში მიეცით ჩვენ, ე. ი. საბჭოს დაარსებამდე და იქვე გვისაყვედურებთ, რომ ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ საბჭოს რაიმე რეალური ღონისძიება მიეღოს ქურდობის აღმოსაფხვრელად ან ქურდების აღმოსაჩენათო. ამის საპასუხოთ გვექვს მოტივი განვაცხადოთ, რომ საზოგ. მუშამოსამსახურეთა საბჭო 1919 წ. 20 აგვისტოს დაარსდა (იქმის ჰქონდა ფუძე ჩაყრილი.) რაც ძლიერ კარგათ მოგეხსენებათ და უარს ვერ იტყვით: ამ დღიდან კი ბ. სამხედრო მინისტრის მიერ თქვენ გადაყენებამდე (6 ქრისტეშობისთვემდე), ორი ნოქარი დაითხოვეს, როგორც თქვენვე ბრძანებთ, ჩვენი წინადადებით, მაგრამ მესამეზე კი არ ვიცით რა მოსაზრებით სდუმხართ: უკანასკნელმა ხომ აშკარათ აღიარა საბჭოს წინაშე, რომ დაახლოვებით 130,000 მანეთის საქონელი გაიტანა მთავარ მაღაზიიდან და თქვენი მოადგილე, გამგეობის წევრი პოლ. ქუთათელაძე ხელითაც კი შეეხო მას რევიზიის დროს. რას ნიშნავს ამის შესახებ თქვენი დუმილი?! ქვემოდ ბრძანებთ: ორი ნოქარი დაითხოვეთ ქურდობისათვის საბჭოს წინადადებით. ახლა თვით მკითხველმა განსაჯოს ვის ყურებზე „ლიტანი ხატყუების „მართლა" წამოხრილა", თქვენ თუ ჩვენ.

ახლა თქვენს წერილში მოყვანილი ციფრები აგიხსნათ: ბი სახვათიც: (ვპასუხებთ ბალანსის ასეთ თქვენ მიერ მოყვანილ ანგარიშებით) 1919 წ. 1 მაისს, ე. ი. თქვენ რომ სათავეში ჩადექით, საზოგადოებას ჰქონდა: (უძრავ ქონებას არ ვანგარიშობთ ისეთ, როგორც თქვენ, ეს დიდი ხნის წარსულის ნაშთია და თქვენ არავითარი ღვაწლი არ მიგიძღვით):
საქონელი 850,000 მ., ნაღდი ფული და ბანკებში შენახული 600,000 მან., სულ 1,450,000 მან., ვალი ბანკების და კერძო პირების 753,000 მან., ქონება 697,000 მ.

თქვენი წასვლისას კი:
საქონელი 1,700,000 მ., სალარო და ბანკები 185,000 მ., სულ 1,835,000 მ., ბანკის ვალი 2,180 000 მან., ვალი და კერძო პირების 952,000 მ., 3,132,000 მ., ვალი 1,297 000 მ.

ეს რას გვეუბნება: თქვენი მოსვლის დროის არსებულ ციფრებთან შედარებით წასვლის დროს პირველ შემთხვევაში ქონება გაზრდილა 26,5 პროცენტით, ხოლო მეორე შემთხვევაში ვალი 315 9 პროცენტით. თქვენ „დაგრჩათ" და ხელისუფლებაც იყო თქვენთვის, ხოლო დაგრჩათ, იმის სიწმინდით აუარეთ გვერდი.

შემდეგ არ ვიცით, ზოგიერთ შეძენილ ქონებას ბაზრის ფასით რად საზღვრავთ, ალბად, ეხეც რაიმე მოსაზრებაა. გეყარნახებთ, თორემ სინამდვილე და ბუღალტერია სულ სხვას ამბობს; სამრეწველო ავტომობილი 90 000 მანეთად არის შეძენილი, თქვენ კი 250 000 მან. აფასებთ; სამგზავრო ავტომობილი—72,000 მ., ხე-ტყის ქარხანა 500,000 მ. თქვენ კი 1.500.000 მ. მანეთად აფასებთ და ინჟინერის შეფასებას იმოწმებთ, რომ ამდენი ღირსო. შემდეგ განაგრძობთ, რომ საზოგადოებას აქვს ფველო შენობა, ელექტრონის სადგური, ყინულის ქარხანა და სხ. რაღაც სინანული გამოსჭვივის თქვენს კალამში და იმაზე ხომ არ სწუხართ, რომ ჩამოთვლილი ქონების დაგირავება ვერ მოასწარით „წასვლამდე"?

ოფ. ცერთა ეკონომიური საზოგადოების მუშა მოსამსახურეთა საბჭო.

ფოსტა-ტელეგრაფში

ქვემოთ მოყვანილი ციფრები მოწმობენ, თუ რაგვარის თანდათანობით და სიგრძნობით იზრდება საქართველოში გადაგზავნილ კორესპონდენციების რაოდენობა და ამასთანავე, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა, რაც მაჩვენებელია მისვლა-მოსვლის საქმის და საერთოდ მშვიდობიან სამოქალაქო ფუნქციების განმტკიცებისა.

გადაგზავნილი უბრალო წერილები, ბანდეროლები და ცერხილ გაზეთები 1918 წ. 1 ოქტომბრიდან 1919 წ. 1 ოქ-მდე:

ნოემბერი . .	1918 წ.	— 302 254
დეკემბერი . .	"	— 314 410
იანვარი . .	1919 წ.	— 527 382
თებერვალი .	"	— 603 068
მარტი . . .	"	— 881.035
აპრილი . . .	"	— 922 582
მაისი . . .	"	— 979.586
ივნისი . . .	"	— 1,053461
ივლისი . . .	"	— 1.221748
აგვისტო . .	"	— 1,231031
სექტემბერი .	"	— 1,360194
ოქტომბერი .	"	— 1,498171
სულ . . .		10.898.033;

ე. ი. 1 წ. შემდეგ 1.195.917-ით. ასეთივე ზრდა ეტყობა სხვა დარგის კორესპონდენციებსაც.

დაზღვეული წერილები გადაგზავნილი: 1918 წლის ნოემბერში—18 824. 1919 წლის ნოემბერში—35 560; სულ აღნიშნულ დროს განმავლობაში (ე. ი. 1918 წლის 1 ოქტომბრიდან 1919 წ. 1 ოქტომბრამდე)—333.531.

დაზღვეული — დაძღვეული ფულიანი წერილები:

1919 წ. ნოემბერში—510; ფასი—13.690 768. 1919 წ. ნოემბერ.—1180; ფასი—100 603 263 სულ—10 440; ფასი—410 810 580.

ფულიანი ბარათები ფოსტით და ტელეგრაფით:

1918 წ. ოქტომბერში—5.856; ფასი—3 039 701. 1919 წ. ოქტომბერში—16 930; ფასი—25 230.428. სულ—128.089; ფასი—132 516 518.

ფასიანი ამანათები:

1918 წ. ოქტომბერში—386; ფასი—321.110. 1919 წ. ოქტომბერში—720; ფასი—138.408. სულ—7,834; ფასი—4.976.068.

უფასო ამანათები:

1918 წ. ოქტომბერში—3.694.
1919 წ. " —6 743.
სულ—61.825

გაცვლილი დეპეშების რიცხვი:

1918 წ. ოქტომბერში—175.890
1919 წ. " —321.640.
სულ—3.126.849

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

გვარდიის ცხენოსანი დივიზიონში.

5 თებერვალს სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში შესდგა მოწინავე ამხანაგ გვარდიელთა კრება კულტურული მუშაობის გაძლიერების შესახებ. დღე-წრის აგრეთვე გვარდიის სახანაგებთ ათასეულის კულტურულ-განმანათლებელი სექციის წარმომადგენელი ამხ. კვერნაძე, რომელმაც გაუკეთა კრებას მოკლე მოხსენება. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა: მოეწყოს კულტურულ-განმანათლებელი წრე. სახიმ საერთოდ, ყველა გვარდიელების კრება აირჩევს ასეთ წრეს, მ.ნაშ კრებამ აირჩია ექვსი-კაციანი შემადგენლობით ბიურო.

ბიუროში არჩეულ იქნენ შემდეგი გვარდიელები: თუნიაშვილი, ჯიში, გრ. სილიკაშვილი, მ. ხვიჩია, აკაკი ქიჯიაი და გრ. კანკელი, რომელთაც დაევალა მიიღონ უაღლესური ზომები, რათა დივიზიონში დაწყებულ იქნეს დაუყონებლივ კულტურული მუშაობა.

გრ. ქანქელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 4 იანვარს შესდგა საქ. სოც. დემ. მუშ. პარ. პირველი რაიონის კოლექტივის წევრთა მორიგი კრება. ამხ. გ. ბახტაძის თავმჯდომარეობით

პირველათ ცენტრალურ მოხსენებას აკეთებს ამხ. გ. ბახტაძე. კრება მოხსენებას დებულებას ცნობით.

შემდეგ კრება სწყვეტს: 10—ში თვეს სამშაბათს ნაძალადე. თეატრის შენობაში მოწვეულ იქნეს საერთო პარტიული კრება, რომელსაც უსათუოთ უნდა დაესწრონ აღნიშნულ რაიონის ყველა გვარდიელები.

ახალ კოლექტივის წევრების არჩევნების შესახებ ამხ. ი. გიორგაძე ამბობს: ვინაიდან კოლექტივის მიერ წაყენებულ კანდიდატებს მუშები სთვლიან ზევიდან დანიშნულათ,—ამიტომ ყოველგვარ უთანხმოების თავიდან ასაცილებლათ—კოლექტივის წევრებათ ასარჩევი კანდიდატები დასახელებულ უნდა იქნენ ქვეკოლექტივის მიერ. ამ წესით არჩევნებში მუშების დიდი ნაწილი მიიღებს მონაწილეობას და ახალ არჩეულ კოლექტივს უფრო მეტი ნდობა ექნება.

ამხ. დ. ლორთქიფანიძე მოითხოვს, რომ რაიონულ ხელმძღვანელ ორგანოების კანდიდატების დასახელება მოხდეს ერთ და იმავე დროს—კანდიდატების წევრებათ დამტკიცება საერთო კრებაზე.

ამხ. ი. თევზაძე ამბობს, რომ ციხების მიერ კანდიდატების დასახელებამ გამოიწვია ბევრი დარღვევა, უკმაყოფილება. ვინ ვის ირჩევდა არ იცოდნენ. კანდიდატების დასახელება უნდა მოხდეს ქვეკოლექტივების წევრთა საერთო კრებაზე.

აღნიშნული საკითხის შესახებ კრებას გამოაქვს გადაწყვეტილება: ქვე-კოლექტივები ასახელებენ კოლექტივის წევრებათ ასარჩევ კანდიდატებს, რომელთაც საბოლოოთ ამტკიცებს საერთო პარტიული კრება.

წევრთა რიცხვის მიხედვით კოლექტივი უნდა შესდგეს 21 წევრისაგან, აქედან: სახალხო და საქონ. სადგურების მცირე-კოლექტივი ირჩევს რაიონულ კოლექტივში 5 წევრს. დეპოსი—3 წევრს, მთავარი სახელოსნოები—8 წევრს, გვარდია, ქალთა წრე ახალგაზრდა მარქსისტთა წრე, თითო წევრს—დანარჩენი ორი წევრი არჩეული იქნება საერთო კრებაზე. ბოლოს კრება გამოსთქვამს, რომ მცირე კოლექტივების მიერ კანდიდატების დასახელება უსათუოთ დასრულდეს მომავალ მორიგ კოლექტივის სხდომამდე.

მდივანი.

თფილისი. 5 თებერვალს საღ. 7 ს. შესდგა მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა მეორე საზოგადო კრება. კრებამ განიხილა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კოლექტივის ოთხი თვის მუშაობის შესახებ და 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა. პირველი კითხვის შესახებ, სხდომამ მოისმინა ვრცელი ანგარიში კოლექტივის მუშაობის შესახებ სარევიზიო კომისიის დასკვნით. მოხსენების შემდეგ იყო შეკითხვები, რასაც სათანადო პასუხი გაეცა. რის შემდეგ იმართება კამათი. კამათში მონაწილეობას ღებულობენ შემდეგი ორატორები: ლ. ბერიტაშვილი, მ. ზერეკიანი, ელ. მახვილაძე, ს. ვაჟაპკარია, ვ. ძლიერი, გ. მაჭავარიანი, ალ. ფურნიევი და სხ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კრებამ მიიღო სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლუცია: საზოგადო კრებამ მოისმინა რა კოლექტივის მოხსენება ოთხი თვის მუშაობის შესახებ, იწონებს მას, მადლობას უცხადებს კოლექტივს ნაყოფიერი მუშაობისთვის, ამტკიცებს მას და გადადის მორიგ საკითხზე. დანარჩენი დღის წესრიგში მყოფი კითხვები კოლექტივის, აღ. კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების შესახებ დროის უქონლობის გამო გადაიდო მორიგ სხდომისათვის. მორიგი სხდომა დაინიშნა 12 თებერვლისათვის, საღ. სრულ 7 ს. და შესდგება რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

X.

მუშათა შორის

გორი. 1 თებერვალს შესდგა მუშანოქართა პროფს. კავშირის საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) ახალი არჩევნები გამგეობისა. 2) პრეზიდიუმის არჩევა.

ზ. გაჩეჩილაძე მოახსენებს კრებას წარსული კრების დადგენილებას. შემდეგ ის ამბობს: ამხანაგებო, თქვენ კარგათ იცით, რომ ბევრი მოსამსახურეები შეუერთდნენ მუშა ნოქართა კავშირს და ამ კრებაზედ უნდა აირჩიოთ ახალი გამგეობა. კრება ირჩევს გამგეობას ხუთი პირისაგან. 1) ალ. ცერცვაძისა, 2) ვ. წერეთელი, 3) ბარამიშვილი, 4) ბეჟანოვი მ, 5) ფილოსოფოვი. კანდიდატებათ: 1) მარკოზაშვილი, 2) მეზოშვილი გ., 3) ფილიპერი. სარევიზიო კომისიაში შედიან: 1) შერმადინი, 2) იტრიევი გ., 3) გვერწითელი. კან. ისამანოვი ბაგრატი.

შემდეგ გამგეობა ირჩევს პრეზიდიუმს: 1) თავმჯდომარეთ ვ. წერეთელი, 2) ამხანაგათ ბარამიშვილი, 3) მდივნათ ალ. ცერცვაძისას, 4) ხაზინადრათ ბარამიშვილი. კრება ირჩევს საპატიო თავმჯდომარეთ ამხ. ი. გაბუნიას. კავშირთა კავშირის საბჭოში იქნა არჩეული წარმომადგენლებათ: 1) ალ. ცერცვაძისა, 2) ვ. წერეთელი, 3) მ. ბეჟანოვი 4) გ. მეზოშვილი, 5) ბარამიშვილი. გამგეობის კრებები უნდა ხდებოდეს კვირაში ერთხელ პარასკეობით საღამოს 5 საათზე.

საერთო კრება კი უნდა ხდებოდეს თვეში ერთხელ აუცილებლათ და ამისთვის საჭიროა შემოიღონ ათის თავები. კრებამ ის სასურველათ სცნო და დაადგინა: რაც შეიძლება დაჩქარებით მოხდეს ათის თავების არჩევა.

შემოვიდა განცხადება ალ. ცერცვაძისა მოითხოვოს ძველ გამგეობას ხელზე მოსამსახურეებისას, რომ მოაწვიოს კრებისთვის ჩააბარონ თავისი წარსული ანგარიშები, რაც კრებამ დაადასტურა.

ტანჯული ქალი.

პროვინცია

თელავის მაზრის ადმინისტრაცია ვერ იქნა და ვერ დადგა თავის დონეზე მაზრის ერობის ცდა ამ მხრივ ჯერ-ჯერობით მიზანს ვერ აღწევს. ვინც დააყენა რაიონის კომისრათ, ყველა ჯიშის მოხელეთ გადიქცა და არა მთავრობის მოხელეთ. სრული უმოქმედობა, ქრთამების აღება, უპატიოსნო საქციელი. აი დამახასიათებელი თვისება თელავის მაზრის ადმინისტრაციის უმეტესობისა.

ამან გამოიწვია თელავის მაზრის რაიონების კომისრების თანამდებობის გაუქმება. ერობამ ეს თანამდებობა სრულიად გააუქმა, რადგანაც მთავრობის ხარჯზე თავიანთ საქმეებს აკეთებდნენ კომისრები. ნაფარეულის კომისარი გურამიშვილი ქრთამების აღების გამო მისცეს პასუხისგებაში და ციხეში ჩასვეს. ყვარელის რაიონის კომისარს სერგო ჩხეიძეს იარაღი აყარეს თავის მილიციონერებთან ერთად და დასტოვეს ადმინისტრაციის მხედველობის ქვეშ. მაგრამ რომ დაატყო ჩხეიძემ საქმე ვერ იყო კარგათ, ფეხის ქალამანი დაწნა და ეხლა ვინ იცის იქნება ჩვენი რესპუბლიკის რომელიმე კუთხეში განაგრძობს თავის ბნელ საქმეებს. ჩვენი უბედურება ამაშია, რომ ერთი ადგილიდან რომ ვისმეს გადაყენებენ, არა კი კილობისათვის მისთვის მეორე ადგილი მზათ არის. ჩხეიძე წინათ სიღნაღის მაზრაში იყო კომისრათ და აყრებულ ბრალდებების და საჩივრების გამო ის გადაყენეს სიღნაღის მაზრიდან, მაგრამ, სამწუხაროთ, თელავის ერობამ ის მაინც მიიღო კომისრათ. ფიცი დადოო, განაცხადეს ერობის გამგეობის წევრებმა. მათ დაავიწყდათ, რომ ჩვეულება რუქულზედ ფიცი უმნიშვნელოა და ფიცი მხოლოდ მეღორის თავის მოკატუნებაა და სხვა არაფერი. ჩვენი უბედურება კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენი ხალხი ხმას არ იღებს როცა ის აშკარა ბოროტებას ხედავს. ერობა მართალიაც ცდილობდა გაეგო, ჩხეიძე რამდენათ ასრულებდა თავის ფიცს, მაგრამ არც ერთი კაცი მასზედ ცუდს არ ამბობდა, და როცა ჩხეიძე შარშანდელი თოვლივით გაქრა თელავის მაზრიდან, ეხლა აფერხებულ ბრალდებებს აყენებენ: ზოგი ცხენს ჩივის, ზოგი თოფს, ზოგი ფულს და სხვა.

ჩვენი ხალხი ვერ შეეჩვია იმ გარემოებას, რომ ეხლანდელი კომისრები არ გვანან წინანდელ პრისტავებს, რომელთაც ნაჩალნიკთან ქრთამი კუდი გადაბმული და ყურადღებას [illegible] აქცევდა.

საჭიროა თითონ ხალხმა ებრძოლოს ბოროტ მოხელეებს, თორემ თუ ხალხი მათ ბოროტებას დაფარავს და არ ამხელს, ისინი წინანდელ პოლიციელებზე უარესები გახდებიან და მთავრობას ტყუილათ დაიმდურებიან მცხოვრებნი.

კახეთის მეთვალყურე.

თეატრი და ხელოვნება

18 იანვარს მუშათა კლუბში პირველად თფილისის სცენაზე დადგმული იქნა, ახალი პიესა „ნიღაბ ქვეშ", დრ. 3 მოქ. ნიკ. გვრეკსელისა. პიესის შინაარსი ასეთია: ძველი დროის პოლკოვნიკი როსტომი, სრულ წინააღმდეგობას უცხადებს ახალ ხანას, რევოლიუციას, მისი ბიუროკრატიული სული ვერ ეწყობა ასეთ მოვლენას. მან იცის, რომ რევოლიუცია მას პრივილეგიებს წაართმევს და სწორედ ეს აშფოთებს მას.

კოტე, ამ ოჯახის უფროსი ვაჟი, ვერ შეეგუება ოჯახში გამეფებულ ატმოსფერას, დაუტოვებია ის 7 წლით და გადახვეწილა მუშათა წრეში, სადაც მან დაიმსახურა მუშების სიყვარული, სიმპატია და გახდა მუშათა წინამძღოლი.

ავტორს შესაფერი სახელი გამოუძებნია ამ დრამისათვის „ნიღაბ-ქვეშ" და მართლაც, ამ ნიღაბს უკანასკნელ მოქმედებამდის არავინ იცილებს, ყველას ემალვა მისი ჩამოხსნა, ნამდვილი სახის გამოჩენა. მთელ ოჯახის წევრთ, კოტეს გამოკლებით, აქვს თავის საიდუმლო, რომელსაც ერთ-ერთთან დაფარვას უკვეელი საშუალებით ცდილობენ. ეს საიდუმლოება აშკარავდება უკანასკნელ მოქმედებაში. ამ ოჯახის ჭერ ქვეშ შეხიზნული ბიძაშვილი უზომოდ ნაწყენი ნინოს მიერ (მეორე ცოლი როსტომისა) უდიდესი წერილით რევოლუციისადმი მოწერილით, რომელიც ეხება როსტომის წარსულ და ზრდილ ოჯახის ღირსებას, ამით მას უნდა ნინოს თვალში სრულიად დასცეს როსტომი. მან ეს შესძლო. ირკვევა, რომ მარო, რომელიც ამ ოჯახს პანსიონიდან გამოუყვანიათ და რომელსაც როსტომის უმცროსმა ვაჟმა ღირსება შეუგინა, არის მისივე და... ქალმა ვერ აიტანა ასეთი დამცირება—შვილი, პატარა მარო, ქუჩას მიუგდო და მან კი თავი მოიკლა. პიესა ბევრს ლაპარაკობს მორალურ სიფაქიზეზე. მორალი ეს დიდი ჯილდოა ადამიანის, მაგრამ პიესაში ნაჩვენებმა ოჯახმა ეს მცნება გარდა კოტესი ვერ დაიცვა, მთელი მათი ბნელი საქმეები ნიღაბს ატარებს.

ავტორი ამ პიესით გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ თავისი პიესით თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს დრამატურგიაში.

შემსრულებელთა შორის: როსტომ (ციციშვილი) ვერ იყო ნამდვილი განსახიერება ძველი სასტიკი პოლკოვნიკი თავისი ბიუროკრატიული სულით. საერთოდ კი არა უშავდა. ნინო ქ-ნი გორიძელი კარგი იყო ზოგიერთ ადგილებში, დიქცია და მიმიკა მას საკმაოდ ხელს უწყობდა, მხოლოდ როლის უცოდინრობა უნდა ითქვას, რომ ძალიან ემჩნეოდა. ბიძაშვილი (გუგუშვილი) შეიძლება ითქვას, რომ თითქმის უნაკლო იყო. კოტე (კრავეიშვილი) კარგი იყო პირველ მოქმედებაში. დანარჩენებში კი მოისუსტებდა. სიმონი (კ. კვერნაძე, ავტორი პიესის ზოგიერთ ადგილებში თავის სიმაღლეზე იდგა, უფრო კი უკანასკნელ მოქმედებაში, საერთოთ კი მან ვერ დაგვიხატა ნამდვილი სიმონი, სიდიდის ქენქნა მქრთალად გადმოგვცა, მას თითქოს რაღაც მოკრძალება ემჩნეოდა, ალბათ როგორც ავტორი თავს უხერხულათ თუ გრძნობდა. მარო (ნ. ბერძენიშვილი) კარგი იყო კოტესთან საუბრის დროს, სადაც ის ნაწყვეტ-ნაწყვეტათ უამბობს ძმას თავის შავბნელით მოცულ წარსულს, თუმცა მან სავსებით ვერ შესძლო დეიხატა მისი გულის ტკივილები. მაყურებელში მან ვერ აღძრა ერთნაირი სიბრალული მისი შავ-ბნელ წარსულის გადმოცემით, მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას ეს ახალგაზრდა სცენის მოყვარე ქალი დიდს იმედებს იძლევა.

საერთოდ პიესა გვარიანათ ჩატარდა.

დ. მაისურაძე.

ცნობები

15 ენკენისთვეს 1919 წელს ქუთაისიდან საფოსტო საქმეებისათვის ფოთში გაემგზავრა კარლ ფირანისძე შენგელია, იქიდან მას აზრათ ჰქონდა ტუაპეში წასვლა. რადგან დღემდე მისგან არავითარი ცნობა არ მაქვს, ვთხოვ ვინც იცის რამე მის შესახებ, შემატყობინოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, ორპირის ქუჩა, ნოხე ფირანისძე შენგელიას

ფოსტა

დ. ცაგერი. ი. ხინვლიძეს 2 700 მ. მიგვიღია, გვაცნობეთ რას მოვახმაროთ.

განცხადებანი

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების: ჰაკების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ოზურგეთში
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავის, შლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფოცრდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუპ. 60)

ექიმი ლ. მ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებისთან ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.

ექიმი
ვ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრიევის ქუჩა, № 74. ბინა № 1. [illegible] აფთიაქის ახლო. (249)

ექიმი ლ. ა. [illegible]
იღებს შინაგან და [illegible] ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩუბინაშვილის ქუჩა № 37, ავჭალის აფთიაქის ახლო.

ექიმი ა. დ. კაკულია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეჰრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, შლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. შლექის ოპერაცია—პნევმოტორაქსით. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. 8230—თ

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს შინაგან, სახებით და ქალთა ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარსებ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606" და „914" 11—12 საათ.
ზ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურგ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ახახაროვი—10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშვო ავად. [illegible]
მ. მ. ავეტიხიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარაპეტ-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწ.დი.
ე. ა. ბორისოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიანი—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
[illegible]
საავადმყოფოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით). ყოველგვარი სნეულებანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები. (თ. 218)

ექიმი ვ. მ. მანსარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—37. (114—თ).

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იმამიღოვის ქუჩა № 26 (თ. 2065).

ექიმი დ. ა. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 ნახ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდროვს ბაღის პირდაპირ (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. იმამიღოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] [illegible]. მისამართი: [illegible] ქუჩა № 32

ვისაც სურვილი აქვს სწრაფად და მცირე გადახდით გაყიდოს ან იყიდოს
სახლი
მამული, აგარაკი, მიწები და სხვა [illegible] უძრავი ქონება მთელ კავკასიაში. სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებანი, ქარხნები, ფაბრიკები და ყოველგვარი ქონება. მიმართეთ: ინტელიგენტ ჯგუფს, რომელსაც საუკეთესოთ აქვს მოწყობილი კლიენტურა. დავითის ქ. № 3 ბინა 2. ტელეფ. 2—28 დილის 11—2 და საღამოს 5—7 საათ. (182—1—1)